



თ უ მ ა ნ ი ს ვ ი ლ ი ს ა დ ი ს ა ბ ი ს  
ო კ ე გ ი ლ ი თ უ მ ა ნ ი ს ვ ი ლ ი ს ა დ ი ს ა ბ ი ს  
ო კ ე გ ი ლ ი თ უ მ ა ნ ი ს ვ ი ლ ი ს ა დ ი ს ა ბ ი ს

თ უ მ ა ნ ი ს ვ ი ლ ი ს ა დ ი ს ა ბ ი ს

ფ ფ თ უ მ ა ნ ი ს ვ ი ლ ი ს ა დ ი ს ა ბ ი ს

Tumanishvili Theatre Foundation

# ქართული პიესა

## 2013



გამომცემლობა „კენტავრი“  
თბილისი  
2014

ფატი კიპაროიძე

## „პაემანი წარსულთან ანუ დედაჩემი ყველაზე ლამაზია“

პიესა ეფუძნება რეალურად მომხდარ ამბავს

სვეტა – 50 წლის

ინგა – 22 წლის

მღვდელი

კოკა – ადვოკატი, სვეტას მეგობარი

სოც. მუშაკი

## პირველი მოქმედება

დამება. სცენაზე ჩანს საკანი, დგას ორი რეინის საწოლი, მაგიდა, ორი კარადა. ერთ კარადაზე ხატები და სასანოლე აწყვია, მეორეზე წიგნები და სხვადასხვა ნივთები. გისოსებაკრული ფანჯრიდან პროექტორის შუქი მკრთალად ანათებს. ერთ საწოლზე ზურგით წევს ინგა. სძინავს. მეორე საწოლზე დამის პერანგით ზის სვეტა, ფეხები მოუკეცია და ხელში გაურკვეველ ნივთს ატრიალებს. მერე წიგნს აიღებს კარადიდან და სურათს გამოაძვრენს, დასჩერებია და თითქოს თავისთვის ეწურჩულება.

**სვეტა:** სულ ცოტა დარჩა და გიპოვნი. ადარასოდეს მიგატოვებ და ერთად ვიქნებით. რომ იცოდე, როგორ მოგივლი. იცი, რა უნდა გაჩვენო? ექიმმა შენი ქუდბედი მომცა და შენახული მაქვს, რამდენი ხანია გეძებ...

**უეცრად ვირტუალური ხმა შეაწყვეტინებს.**

**ხმა:** ტყუილად ეძებ. შენ შენი ნებით თქვი უარი და მოიშორე თავიდან. მაშინ არ გინდოდა შვილი და ახლა რამ გაგახსენა?

**სვეტა:** (ვაძრა ჩებით) მაშინ უჭერო ვიყავი და სხვანაირად ვფიქრობდი, ახალგაზრდას შვილი ხელს შემიშლიდა. ვიფიქრე, ჩემ გარეშე უფრო კარგად იქნებოდა, გაიზრდებოდა და აუცილებლად ვნახავდი.

**ხმა:** შენ ხომ არც გახსოვს, როგორი იყო. ერთი ციცქა ისე უარყავი, არც დაფიქრებულხარ.

**სვეტა** სურათს ახლოს მიიტანს სახესთან.

**სვეტა:** როგორ არ მახსოვს. ყველაზე ლამაზი ბავშვი იყო, ქერა კულულებითა და წითელი ტუჩებით.

**ხმა:** ყველა ბავშვი ლამაზია. თუმცა, შენგან განსხვავებით შვილებს მშობლები ზრდიან და სხვებს არ უტოვებენ.

**სვეტა:** მე ჩემი შვილი არ მიმიტოვებია...

**გალიზიანებული ჩადებს სურათს წიგნში და კარადაზე დებს.**

**ხმა:** აბა რა ჰქენი?!

**სვეტა:** გასაზრდელად დაგზოვე. უკვე ისეთ გზას ვაღექი, მე ვერ გავზრდიდი. ერთი წლის გასული ვიყავი ციხიდან და სად წამეჭვანა ბავშვი?

**ხმა:** თავს იმართლებ... მაშინ რად გინდოდა?

**სვეტა:** ყველა ქალს უნდა შვილი...

**ხმა:** მაგრამ ვისაც უნდა, ზრდის კიდეც და სხვას არ უტოვებს...

### **სვეტა წამიერად გაჩუმდა**

**სვეტა:** არ შემეძლო... სულ საქმეზე დავდიოდი. თავი უნდა მერჩინა, თან გივიც მაშინ გაქრა...

**ხმა:** გივი შენი შვილის მამა არ იყო...

**სვეტა:** არ იყო. ვისგან მყავდა არც კი ვიცი. გივი, სერგო, კოკა... ამ სამიდან ერთ-ერთისაა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქს, ორი მკვდარია, მხოლოდ კოკა ცოცხალი. ის რომ არა, არავინ არ მეყოლებოდა პატრონი.

**ხმა:** ციხეშიდაც მის გამო მოხვდი.

**სვეტა:** მის გამო? არა, რა მის გამო, ფული გვჭირდებოდა და ვმუშაობდი. ლამაზი ვიყავი და გულგრილი ვერავინ რჩებოდა. იმ დამპალმა არ გადამისადა, მე კიდევ საფულე ვესროლე, რა ვიცოდი, საფეთქელში თუ მოხვდებოდა.

**ხმა:** გაქცეულიყავი, იქნებ, ვერც გაეგოთ, ვინ იყო მკვლელი...

**სვეტა:** არ მიფიქრია, რომ მოვკალი, როცა წაიქცა, შევუპურთხე, ძალიან მთვრალი ვიყავი, გადავბრუნდი და დავიძინე. დილით მილიციამ გამაღვიძა.

**ხმა:** შვილი რამ გაგახსენა ამდენი წლების შემდეგ?

**სვეტა:** შვილი ყოველთვის მახსოვდა, მაგრამ დრო არ მრჩებოდა მის მოსაქებნად, თან კოკას არ უყვარდა ამაზე საუბარი. კოკას გარეშე კი ვეღარ ვცხოვრობდი, მისით ვარსებობდი. აქ უამრავი დრო მაქვს. რატომდაც კოკაც მექმარება. რალაც საბუთებს მოუკარა თავი, ცოტაც და იპოვის.

**ხმა:** ადვოკატები რატომ დაგიქირავა. თვითონ ცნობილი ადვოკატია და არ გაუჭირდებოდა ასეთი რამის გამორჩევა.

**სვეტა:** თვითონ უამრავი საქმე აქვს...

**ხმა:** თუ თავი არ შეიწუხა? იქნებ სულერთი გახდი მისთვის? არ გიფიქრია ამაზე?

**გალიზიანებული სვეტა კარადას ხელს მიარტყამს და ფეხზე წამოხტება. ხმაურზე ინგა გაიღვიძებს.**

**ინგა:** სვეტა დეიდა, ცუდად ხართ? ექიმს ხომ არ დაგუძახო?

**სვეტა:** ხმა ჩაიწყვიტე! ცუდად რატომ უნდა ვიყო, კარგად ვარ, ერთი შენ მიშლი ნერვებს.

**ინგა თავზე საბანს წაიფარებს.**

**სვეტა:** რატომ იმალები? ან რა ჯანდაბამ გაგადვიძა? მკვლელებს ასე ემართებათ. მოკლული დაგესიზმრა არა?

**ინგა საბანს გადაიხდის სახიდან და შეშინებული წამოჯდება.**

**ინგა:** არა, გაზაფხული დამესიზმრა, ატმის ყვავილები და ჩიტების ჭიკჭიკი. მე სადედოფლო ქაბა მეცვა და ვცეკვავდი. მერე ვიღაც ძალიან ლამაზმა კაცმა შემომახია, ხელში ამიტაცა და უფსკრულში გადამაგდო, ხელებაშლილი მივტრინავდი სიბრძლისაკენ, მერე თავი ქვაზე დავარტყი, თან რალაც ხმაური ჩამესმა და გამომედვიძა.

**სვეტა:** შტერი რომ იყავი, თავიდანვე მივხვდი. მონასტერში  
არ გითხრეს, რომ ციხეში ყოველთვის ცუდი სიზმრები  
ესიზმრებათ?

**ინგა:** სიზმრების არ მჯერა, მაგრამ უსიამოვნო შეგრძნება  
მრჩება ყოველთვის.

**სვეტა:** დაიძინე, სადაცაა გათენდება, დილით საქმე  
გაქვს. ჩემს გაღვიძებამდე გააკეთე ყველაფერი,  
თორემ გუშინდელზე უარესი მოგივა.

**ინგა** გაჩუმდება და ცოტა ხანში ფშვინვას ამოუშვებს.  
**სვეტა** გადაბრუნდება, მაგრამ ხმა არ ასვენებს.

**ხმა:** რა გაძინებს, ადექი, მოდი, მაგიდასთან დაჯექი,  
რაღაც უნდა გაგახსენო.

**სვეტა:** რატომ არ მანებებ თავს, შენ მე რა უნდა  
გამახსენო. მთელი ცხოვრება დამდალე. მოდი რა,  
დამაძინე, ხვალ ვილაპარაკოთ.

**ხმა:** შენ ახლა რა დაგაძინებს. ისე აგაფორიაქა დღეს  
ადვოკატმა, კარგა ხანს გეყოფა. ძალიან ამაყი ხარ,  
რატომ ეჩეუბე დირექტორს. ხომ იცი, მასაც შეუძლია  
დახმარება.

**სვეტა:** არა მაქვს იმ ახვარის ატანა, ერთი იდიოტი ტიპია,  
ქალების დანახვაზე დუქი გადმოსდის.

**ხმა:** თუმცა უარი არ გითქვამს...

**სვეტა:** სხვაგვარად ასე თავისუფლად ვერ ვიქნებოდი...

**ხმა:** გამართლებას ეძებ, სიმართლეს კი თავს არიდებ.

**სვეტა:** სადღაა სიმართლე, სიმართლე დაიმარხა დიდი  
ხნის წინ და აღარ მიძებნია. ან კი რაში მჟირდებოდა  
სიმართლე.

**ხმა:** დღეს რატომ ეძებ სიმართლეს, რად გინდა შვილი,  
რომელიც არც კი გიცნობს, შენც ხომ აღარ  
გახსოვს.

**სვეტა:** არა, უნდა მოვძებნო, სიგიჟემდე მინდა ვნახო,  
ვიცი, დამაზი იქნება, დამაზი და ჭკვიანი.

**ხმა:** იმედი გაქვს, შენ დაგემსგავსებოდა, შენ ხომ ამაყობ  
შენი სილამაზით.

**სვეტა:** რატომაც არა, ლამაზი ვარ და ვამაყობ, რასაც  
ვაკეთებდი, კარგად ვაკეთებდი. მაგარი ქალი ვიყავი  
და იმიტომაც ვერ მივიწყებს კოკა დღემდე. ჩემს  
შვილს ყველაფერს ვასწავლი. ვიცი, როგორი გზით  
ვატარებ. ახლა კი მაცალე ფიქრი. მალე გათენდება  
კიდეც.

**სვეტა** გადაბრუნდება, პედელზე გაკრულ ჯვარს ხელით  
მიეფერება და ამოიოხერებს.

## მეორე მოქმედება

დილაა. ინგა ჩუმად დგება, ხალათს მოიცვაშს და ფეხაკრეფით მიღის კარადასთან, სადაც სასანთლე დგას, პედელზე ხატებიც მოჩანს. პირჯვარს გადაიწერს და ცდილობს, უხმაუროდ მივიდეს მაგიდასთან. შემთხვევით ხელს გაკრაგს სასანთლეს და გადმოაგდებს. ხმაურზე სვეტა წამოხტება და მივარდება, ხელს სტაცებს და თავის საწოლზე მიაგდებს.

**სვეტა:** შენ ვერ გაიგე, არა, რა გითხარი, არ გამაღვიძო-მეთქი? ამას იმიტომ აკეთებ, რომ წყობილებიდან გამომიყვანო. კარცერს მიჩალიჩებ, არა?

ინგა ატირდება და პატიებას სთხოვს.

ინგა: შემთხვევით მომისვდა ხელი, არ მინდოდა, მაპატიეთ, სვეტა დეიდა.

**სვეტა სიგარეტს მოუკიდებს და მაგიდასთან ჯდება.**  
ძალიან გაბრაზებულია და მაგიდაზე თითებს ათამაშებს.

**სვეტა:** ძალიან დამდალე. რამდენი თვეა, გითმენ, მაინც რა გინდა, რატომ მაღიზიანებ. ან საერთოდ, რა გატირებს? შენ ის არა ხარ, ანგელოზად რომ მაჩვენებდი თავს? შენ ჩვეულებრივი ნაძირალა ხარ და ჩემგან არაფრით არ განსხვავდები.

ინგა: მე არაფერი არ დამიშავებია.

**სვეტა:** ვიცი, ვიცი, ხომ გითხარი, რომ ანგელოზი ხარ, მაგრამ თურმე მკვლელი ანგელოზებიც არსებობენ.

ინგა: არ მომიკლავს... არ მომიკლავს...

ინგა ისტერიულად ტირის და გამწარებული დადის წინ და უკან.

**სვეტა:** იცი, როგორ ისჯებიან ჯიუტები? მოდი აქ, დაჯექი და მომისმინე.

**ინგა** მაინც აგრძელებს სიარულს. **სვეტა** ხელს არტყამს მაგიდაზე და ხმას უწევს.

**სვეტა:** ვერ გაიგონე?

**ინგა** მობუზული ჯდება.

**სვეტა:** კარგად დაიმახსოვრე, რასაც ახლა გეტქვი – ადარასოდეს ადარ გაბედო სიტყვის შემობრუნება! არ დაგავიწყდეს, ვის ელაპარაკები, თორემ დაისჯები, გოგო! თან იცი, რა საკაიფოდ? ჯერ ცოტა აგეწვება, სულ ცოტა, მერე თანდათან გეტყინება და ბოლოს სამახსოვრო შრამიც დაგრჩება. გაიგე, შე ლაწირაკო? (იხვა თავს უქნევს) კარგია, თუ გაიგე, თუ არა და მერე ტირილი ვერ გიშველის.

**სვეტა** სიგარეტს ჩააქრობს და გაბრაზებული წამოდგება. ვიდრე საწოლთან მივა, შემობრუნდება და თავზე დაადგება, მხრებში ხელს ჩავლებს და მუქარით ეტყვის:

**სვეტა:** ვიცი, ახლა მწყევლი და მაგინებ, მაგრამ იმხელა სროკი გაქვს, ჭაუის სწავლება გჭირდება. აქ სხვა სამყაროა და სხვა კანონები. იქნება ოდესმე მადლობაც მითხრა.

**მერე** მოშორდება და ხმამაღალი საუბრით წავა საკნის მეორე მხარეს.

**სვეტა:** მაინც მოახერხე და შენი გაიტანე. ახლა რადა დამაძინებს. კეთილი ინებე და მოყევი, რაც არ გითქვამს.

**ინგა:** არაფერი არ დამიმალავს, სვეტა დეიდა. სიმართლეს გეუბნებით, თქვენ კი მაინც არ გჯერათ ჩემი.

**სვეტა:** შენ მკვლელი ხარ, მეირთასო, და რა უნდა დაგიჯერო. (სვეტა ირობიულად ჩაიცინებს, წამოდგება, ცალ ვეხს სკამზე ჩამოდებს, ზედ იდაყვით დაუკურდონბა და აკრძელებს) აი, მე მოვკალი და უარზეც არ ვარ. შენ რატომ მალაპ, გეშინია არა? გარეთ გინდა არა? დამნაშავე კი ხარ, მაგრამ აღიარება არ გინდა.

**ინგა:** მე მხოლოდ სიმართლის გარკვევა მინდა. მაგრამ დამხმარეც არავინ არა მყავს. მშობლები რომ მყოლოდა, ამ დღეში არ ჩავვარდებოდი.

**სვეტა:** მერე რატომ არ გყავს? იმიტომ, რომ ნაბიჭვარი ხარ. ალბათ, დედაშენმა არც კი იცოდა, ვისგან ჰყავდი და მოგიშორა, რადგან ისიც შენნაირი ნაბიჭვარი იქნებოდა. იგულავა და ზედმეტი ტვირთისაგან გათავისუფლდა.

### ინგა ხმამაღლა ტირის.

**ინგა:** ნუ იტყვით ასე, გთხოვთ. ვიცი, დედაჩემი კარგი ქალი იქნებოდა. მითხრეს, რომ ძალიან ლამაზი ყოფილა. ვინ იცის, რა უჭირდა.

**სვეტა:** ყველა მიტოვებული ბავშვი ამას ამბობს, რადგან ზღაპარს უყვებიან ხოლმე, ზღაპარი ხომ ლამაზია ყოველთვის.

**ინგა:** როგორი მკაცრი ხართ, სვეტა დეიდა. როგორ არ გებრალებათ ადამიანები. მაინც რა დაგიშავეთ ასეთი? მე ხომ ისედაც უმიზეზოდ დამსაჯა ცხოვრებამ?

**სვეტა** შეკრთება და ინგას სახეში ჩააშტერდება. მერე თავს გადააქნევს, წამოარტყამს და თავის საწოლზე მიწვება. ინგა ჩუმად იცრემლება, მხრები უცახცახებს, შეშინებული ცდილობს, რომ არ იხმაურის.

## მესამე მოქმედება

ინგა დგას და არ იცის, როგორ მოიქცეს. მოძღვარი მიუახლოვდება, თავზე ხელს დაადებს და ლოცავს. ინგა ტირილს იწყებს. ორივენი სხდებიან მაგიდასთან.

**მოძღვარი:** დამშვიდდი. ყველაფერი უფლის ნებაა. იქნებ, რა განსაცდელს აგარიდა უფალმა აქ მოყვანით. ლოცვები არ შეწყვიტო, იმედი არ დაკარგო და სასოწარკვეთილებას არ მიეცე, მოითმინე და „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი“.

**ინგა:** ვითმენ, მამაო, ვითმენ და მოთმინებასაც ვითმენ, მაგრამ ძალა ადარ მყოფნის. მნელია, მუდმივად დაძაბული ყოფნა, როცა ვერც სიმართლეს ამტკიცებ და არც იმის უნარი გაქვს, უსამართლობას შეეგუო. ეს თვეები ხშირად მიფიქრია სიკვდილზე, ეს იქნებოდა ყველაზე მარტივი გამოსავალი – არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა.

**მოძღვარი:** შენ მარტო საკუთარ თავზე ფიქრობ და ეგოისტი ხდები. რატომ არ ფიქრობ, რამდენ ადამიანს მიაყენებ ტკივილს? ყველას, ვინც შენ გარშემო იყო, აღმზრდელები, პედაგოგები, მეგობრები. იმ ადამიანთა უმრავლესობა, ვინც საკუთარ თავზე ხელის აღმართვას ბედავს, უსმენს ეშმაკს, რომელიც ეუბნება, რომ თუკი ისინი თავად მოუდებენ ბოლოს საკუთარ სიცოცხლეს, იმ ტანჯვისაგან გათავისუფლდებიან, შინაგანად რომ გრძნობენ. ასეთები კი ეგოიზმიდან გამომდინარე იქლავენ თავს. სიცოცხლე ღვთის საჩუქარია! თვითმკვლელობა კი იმას ნიშნავს, რომ დმერთს უარს ეუბნები ამ საჩუქარზე.

**ინგა:** (ტირილით პასუხობს) მაშინ რა აზრი აქვს ასეთ სიცოცხლეს, რომელიც ოთხ კედელში უნდა გავატარო? ოქვენ ხომ გჯერათ, რომ უდანაშაულო ვარ?

**მღვდელი დაკვირვებით შეხედავს და რამდენიმე წამი  
მდუმარედ უსმენს.**

**მოძღვარი:** მე უფლის მჯერა, მხოლოდ ის არის  
ერთადერთი მართალი. ჩვენ ყველანი ცოდვილები  
ვართ. ნუ დაშორდები ღმერთს. არასოდეს ჩავარდე  
სასოწარკვეთილებაში, ყოველ გრიგალს სიმშვიდე  
მოსდევს, სიბნელეს – განთიადი და სინათლე,  
დასავლეთს – აღმოსავლეთი, დაცემას – სინანული,  
ყოველ „ჯვარცმას“ – „აღდგომა“, ყოველ პრობლემას  
– მოგვარება, ყოველ ცრუმლს – ღიმილი, ყოველი  
დაბრკოლებისა და სირთულის შემდეგ უფალი იესო  
ქრისტე მოდის.

**ინგა ცრემლებს იწმენდს და თითქოს რადაც სურს  
უთხრას, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია. მოძღვარი  
დაკვირვებულ მზერას არ აშორებს. ბოლოს  
როგორდაც გაბეჭდავს და ჩუმად ეუბნება:**

**ინგა: მამო, მეშინია!**

**მოძღვარი: კარგია, თუ დვთის შიში გაქვს.**

**ინგა: არა, მამაო, დვთის შიშზე არ მიფიქრია, მე  
ადამიანების მეშინია.**

**მოძღვარი: უიმედობა გალაპარაკებს. მაინც ვისი  
გეშინია?**

**ინგა: ვისთანაც ვცხოვრობ. პირველი დღიდანვე ვფიქრობ,  
რომ ჯერ მაწამებს, დამანაკუწებს და მერე თავს  
მოიკლავს. ბევრჯერ თავის მოკვლაზეც მიფიქრია იმ  
ქალის შიშით.**

**მოძღვარი: რატომ ფიქრობ ასე მძიმედ, შვილო?**

**ინგა: იმიტომ, რომ ყველა და ყველაფერი ეზიზდება.  
დიდი ხანია, სასჯელს იხდის და თითქოს ადამიანებს  
საერთოდ ვერ იტანს, სულ რაღაცით უკმაყოფილოა,  
არ ვიცი, მამო, როგორ მოვიქცე. სხვაგანაც არ  
მიშვებს.**

## მეოთხე მოქმედება

**სვეტა** მაგიდასთან ზის და საბუთებში იქექება. ჩანს, რომ აღელვებულია. ფურცლები უწესრიგოდაა მიმობნეული.

**სმა:** რას ეძებ, სვეტა, ამ ქადალდებში? რამ აგაღელვა ასე ძალიან?

**სვეტა:** ვიდრე ის ლაწირაკი შემოვა, მინდა მე თვითონ მივაკვლიო ჩემს შვილთან მისასვლელ გზას.

**სმა:** ხომ დაგაპირდნენ დახმარებას?

**სვეტა:** კი, მაგრამ ვერ ვისვენებ. გაიძახიან, ცოტაც გვაცალეო, ჩემთვის მათი ცოტა ძალიან ბევრია. აღარავის აღარ ვენდობი. ეს გოგოც ნერვებს მიშლის!

**სმა:** რატომ ამწარებ, შენი შვილის ტოლია.

**სვეტა** წამოხტება.

**სვეტა:** ჩემს შვილს არასოდეს არავინ შეადარო! ჩემი შვილი ციხეში არასოდეს მოხვდება, არც მკვლელი იქნება, არც ასეთი უზრდელი და არც ასეთი უშნო.

**სმა:** იხგა ძალიან ლამაზი გოგოა. რადაცით გამსგავსებ კიდეც. არ მესმის, ასე რატომ შეიზიზდე.

## სვეტა დაჯდება და სახეზე დიმილი გადაეფინება.

**სვეტა:** შენ რა იცი, რაა სილამაზე. მაგის ასაკში ისეთი ვიყავი, თვალს ვერ მაშორებდნენ. სილამაზე, ის იყო! ერთ რამედ ღირდა ჩემი ქალაქში გასვლა.

**სმა:** აცადე, ამანაც გაიხაროს. იქნებ, მართლაც უდანაშაულოა და მალე გაუშან, ნუ ამწარებ. ვინ იცის, მოძღვარმა რა ამბავი მოუტანა.

**სვეტა:** ეგ ანაფორიანი საფრთხობელები აღარ გამახსენო. ატანა არა მაქვს. იცი, რა მითხრა ერთმა მღვდელმა? ვერ დაგეხმარები შვილის მოძებნაში, ეგ ფორმიანების საქმეა და მე მაგისთვის არა მცალიაო. აბა, ფულის

სუნი ეგრძნო, თუ არ მოიცლიდა! მერე დაგიწყებენ,  
უფალშია ხსნა და ეკლესიაში იარეო!  
ხმა: ჟჲ, სვეტა, სვეტა, შენ ხსნას მხოლოდ კოკაში ხედავ.  
ბრმა ხარ და ეგ სიბრმავე დაგდუპავს.

სვეტას ბოლო სიტყვები თითქოს არ ესმის და ისევ  
საბუთებს ათვალიერებს. ამ დროს შემოდის ინგა.  
ცოტა დამუროთხალი და აღელვებულია და თავის  
საწოლისკენ წაგა. სვეტა გვერდიდან გახედავს.

სვეტა: რაო, რა გითხრა შენმა მოძლვარმა? ვიფიქრე, თან  
წაგიყვანდა (სვეტა ირონიულად იღიმის).

ინგა ნამტირალევი თვალებით საწყლად შეხედავს და  
თითქოს არ იცის, რა უპასუხოს.

სვეტა: მოყევი, რას გაჩუმებულხარ?

ინგა: რა მოგვევ? არაფერი უთქვამს.

სვეტა: მაინც?

ინგა: მალე პროცესი მაქვს. იქნებ სიმართლე გაირკვეს.

სვეტა ფურცლების შეგროვებას იწყებს და სერიოზულად  
ეკითხება.

სვეტა: მართლა დებილი ხარ თუ თავს იდებილებ? ვინ  
უნდა გაარკვიოს სიმართლე?

ინგა: სასამართლომ, რა ვიცი... არ ვიცი, არაფერი არ  
ვიცი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არავინ მომიკლავს  
და მართალი ვარ.

სვეტა: და მაინც ვისი ან რისი იმედი გაქვს? ამბობ,  
რომ უპატრონო ხარ, არავინ არ გყავს.

ინგა: უფლის იმედი მაქვს მხოლოდ.

სვეტა: მოდი, დაჯექი და გამაგებინე, რა გიყრია მაგ  
თავში, ალბათ შენმა მამაომ გამოგაშტერა.

ინგა: რას ამბობთ, რომ არა ჩემი მოძლვარი...

## სვეტა აწყვეტინებს.

**სვეტა:** მოძღვარი არა! მაგ სისულელებს ჯობია, ყავა დაასხა, მთელი დღე გელოდები. ძალიან საქმიანი კი გახდი, უფროო ანგელოზი.

ინგა ბანცალ-ბანცალით მიღის მაგიდასთან, ჭიქაში წყლის დასხმის დროს, შემთხვევით წყალი დაეღვრება და სვეტას საბუთებს დაასველებს. სვეტა გიჟივით წამოხტება და ქაღალდებს აკრეფს, თან აფრიალებს, თან ინგას ლანძღავს.

**სვეტა:** იდიოტი სარ, დებილი და დეგენერატი. ერთი ფურცელიც რომ გაფუჭდეს, ვერ გადამირჩები, მოგპლავ.

ინგა მაგიდასთან მიიკუნტება, სვეტა დაყრის ფურცლებს, ინგას ფეხს ჩაარტყამს და წააქცევს. ინგა შიშით ხმას ვერ იდებს, სახეზე ხელებაფარებული ჩუმად ტირის.

გაცოფებულმა სვეტამ არ იცის, რა ქნას. ქაღალდებს ათვალიერებს და სათითოდ აწყობს საწოლზე. მერე ინგას თმებში სწვდება და ფეხზე წამოაყენებს.

ინგა: მაპატიეთ, გთხოვთ, არ მინდოდა.

**სვეტა:** მოსამართლესაც იგივეს ეტყვი, ალბათ, რომ მოკვლა არ გინდოდა, ისიც დაგიჯერებს და გაგიშვებს. რატომლაც უველამ უნდა დაგიჯეროთ, არა? მე და შენ, იცი, რით განვსხვავდებით ერთმანეთისაგან? მე არასოდეს არ ვმალავ არაფერს. შენ და შენისთანები თქვენი აუტანელი დუმილითაც კი ჰკლავთ ადამიანებს, თან გიპვირთ, მკვლელს რატომ გეძახიან. მკვლელი ხარ, გესმის, მკვლელი და მთელი ცხოვრება ციხეში ეგდები.

ინგა ხელებჩამოყრილი ემორჩილება სვეტას, აღარც კი  
ტირის. უეცრად სვეტა გაჩერდება, ინგას თავისკენ  
შეაბრუნებს და შეცვლილი ხმით ეკითხება.

სვეტა: დავუშვათ, მართლა გაგიშვან, რა უნდა  
გააკეთო?

მოულოდნელობისაგან ინგას ხველა აუტყდება. სვეტა  
ხელს გაუშვებს. ინგა არ პასუხობს. თავჩალუნული  
მხრებს იჩეჩავს.

სვეტა: არც ის იცი, სად იცხოვრებ?

ინგა ისევ ჩუმადაა. სვეტა ჩაფიქრებული ათვალიერებს  
ინგას. ჩუმად ჩაიცინებს და ხელს უბიძგებს. ინგა  
საწოლზე მოიბუზება.

სვეტა: მართლა საერთოდ არავინ არა გყავს?

ინგა: არა.

სვეტა: მშობლები სულ არ გახსოვს?

ინგა: არა.

სვეტა: არაფერი არ იცი, ვინ არიან?

ინგა: არავინ არაფერი არ იცოდა და მე როგორ  
გავიგებდი.

სვეტა: რომ ნახო, რას იზამ?

ინგა: როგორ ვნახავ? სად?

სვეტა: ხომ შეიძლება ან დედამ გიპოვოს, ან მამამ, ხომ  
შეიძლება, მოგძებნონ.

სვეტა დაძაბული საუბრობს. სიტყვები ადარაა მკაცრი,  
ინგას გაფაციცებული მზერით აძვირდება.

ინგა: არ ვიცი, არავის არასოდეს მოვუკითხივარ.  
ერთადერთი ის ვიცი, რომ დედა ძალიან ლამაზი  
ქალი ყოფილა.

სვეტა: შენ რატომ არ მოძებნე?

ინგა არაფერს არ პასუხობს. ცრემლები სცვიგა.

ინგა: შეიძლება, დავწერ, სვეტა დეიდა?

სვეტა ხელს ჩაიქნევს. ინგა დაწევება და მოიკუნტება. სვეტა დადის, შეჩერდება და რატომლაც თბილად ეტკვის.

სვეტა: მეცა მყავს შვილი.

ინგა გაპვირევებული სახით წამოჯდება, თან ცრემლებს იწმენდს.

ინგა: არასოდეს გითქვამთ.

სვეტა: რატომ უნდა მეთქვა, რომელი ჩემი დაქალი შენა ხარ.

ინგა: რა ჰქვია? გოგოა? თუ ბიჭი?

სვეტა თითქოს გამოფხიზდდება, აგდებით დაუქნევს ხელს და დაუცაცხანებს.

სვეტა: არაა შენი საქმე. შვილი მყავს და მორჩა.

მერე თავის თავს გაუღიმებს, კარადასთან მიდის, სასანთლეს აიღებს, ცოტა ხანს ატრიალებს და ფიქრობს. ინგა ისევ წამოწვება. სვეტა მკვეთრი მოძრაობით შემობრუნდება, მიდის თავის საწოლთან და რაღაცას ებებს, წიგნს გადაშლის და სურათს აკვირდება, მერე მაგიდასთან მიდის და აღგილს ვერ პოულობს. ინგა თვალყურს ადეგნებს.

ინგა: სვეტა დეიდა!

სვეტა: თავს ნუ მომაბეზრებ, არა ვარ ხასიათზე!

ინგა ჩუმდება, მერე ამოიოხრებს და თითქოს თავის თავს ელაპარაკება.

ინგა: დედა რომ მყავდეს, აქ ყოფნაზედაც არ

ვინერვიულებდი. მოვიდოდა პაემანზე, გულში ჩამიკრავდა, მომეფერებოდა, მომიტანდა თავისი ხელით გაკეთებულ საჭმელს, ტანსაცმელს, დამიტოვებდა თავის სითბოს და დამტოვებდა დამშვიდებულს. ნეტა, როგორი სუნი აქვს დედას?

**სვეტა ერთ ადგილზე გაშეშებული არეული სახით დგას, ვერაფერს ამბობს, მხოლოდ შესცეკრის.**

ინგა: თქვენ გყავთ დედა, სვეტა დეიდა? გახსოვთ მისი მოფერება?

**სვეტა გვერდზე შებრუნდება და კბილებში გამოსცრის.**

სვეტა: აღარასოდეს იკითხო ასეთი სისულედე, დედაჩემი დიდი ხნის წინ გარდაიცვალა. აღარც კი მახსოვს.

ინგა: შვილი? შვილს როგორ ეფერებით? მგონი, როგორ გიყვართ და როგორ გეჩქარებათ ხოლმე მასთან პაემანზე.

**სვეტა ხმას არ იღებს.**

ინგა: სვეტა დეიდა, გამაცნობთ თქვენს შვილს?

**სვეტა გიუივით მივარდება, სახეში გაარტყამს და ყვირის.**

სვეტა: ხომ გაგაფრთხილე, აღარ ახსენო-მეოქი ჩემი შვილი?! აღარასოდეს გაბედო მაგაზე ლაპარაკი, თორებ ჩემი ხელით დაგახრჩობ! გაიგე, გოგო, რა გითხარი?

ინგა შეშინებულია, ხმის ამოღებას ვერ ახერხებს, დოფაზე ხელაფარებული გულსაკლავად ტირის. სვეტა ყვირის, უფრო თავისთვის.

**სვეტა:** შვილი... ტკბილია... შენ რაში გაინტერესებს,  
როგორია ჩემი შვილი, რატომ კითხულობ?!

**სვეტა** ხან ყვირის, ხან ჩუმდება, თან ჩქარი ნაბიჯით  
დადის წინ და უკან. მერე მაგასაც ტირილი აუგარდება  
და მაგიდასთან ჩამოჯდება.

**სვეტა:** ისეთი კარგია, როცა პატარა ფუნჩულა ხელებს  
გიგათურებს სახეზე, თითებით რაღაცას ეძებს  
თითქოს. საოცარი სუნი გაბრუებს და ამ სუნს  
ვერასოდეს ვეღარ ივიწყებ.

**ინგა** გაუცნობიერებდად დგება და სვეტასთან მიდის, უკან  
დაუდგება და ცდილობს, დაამშვიდოს როგორმე.

**ინგა:** არ იტიროთ, სვეტა დეიდა! იმიტომ გკითხეთ,  
რომ ხშირად მიფიქრია დედის სიყვარულზე, მაგრამ  
არასოდეს მიფიქრია მისი მოძებნა. ცუდი შვილი ვარ,  
არა? ხომ შეიძლება, ისიც ასე ფიქრობდეს ჩემზე,  
ან იქნებ როგორ ვჭირდები, მე კი არც მიფიქრია,  
მომეძებნა.

**სვეტა ცრემლიანი თვალებით აჲხედავს.**

**სვეტა:** ავადმყოფი რომ იყოს?

**ინგა:** მოვუკლიდი.

**სვეტა:** ლოგინად ჩავარდნილსაც?

**ინგა:** რა თქმა უნდა, ის ხომ დედაჩემია!

**სვეტა:** მან ხომ მიგატოვა?

**ინგა:** ის დედაჩემია.

**სვეტა ისევ გაუმეორებს.**

**სვეტა:** მან შენ მიგატოვა!

**ინგა დაფიქრებული მზერით შეხედავს.**

**ინგა:** მე დედა მინდა მყავდეს. მინდა დედის სითბო  
ვიგრძნო და შვილობის სიტკბო.

**მერე ინგა ხატებთან დადგება და ლოცულობს.**  
**სვეტას ხმა ჩაესმის.**

**ხმა:** რატომ აწამებ ამ საცოდავს, რაებს ეკითხები, რამ  
გაგამწარა და გაგაბოროტა ასე ძალიან. ვერ ხედავ,  
დედა ენატრება, შეიცოდე, მოუფერე, ნუ აჭერ ფეხს  
მტკივნეულ ადგილზე, შენც დედა ხარ!

**სვეტა:** მე მისი დედა არა ვარ. ყველამ თავის შვილს  
მიხედოს.

**ხმა:** იქნებ შენს შვილსაც ასე ენატრება დედა? არ  
გიფიქრია ამაზე?

**სვეტა** მოულოდნელი კითხვის გამო ბრაზდება, პასუხს  
არ სცემს, მაგრამ მოუსვენრად მოძრაობს.

**ხმა:** ერთხელ მთელი კვირა ვერ ნახე დედა და სიცხე ვერ  
ჩაგიქრეს, როგორც კი დედამ ჩაგიკრა გულში, მაშინვე  
ფეხზე წამოხტი. შენ კი ერთი ციდა ანგელოზით  
შვილი შეატოვე უცხო ადამიანებს. ერთადერთხელ  
დაგირეკეს, გლანდების ოპერაციას ვუპეობო,  
ძალიან ცუდადაო, მაშინაც ძალიან პატარა იყო,  
მაგრამ შენ არც მაშინ გეცალა, კოკას ბიზნესის  
გულისათვის ვიდაც თურქს იყავი აკიდებული. ამბავიც  
არ გიკითხია, კოკა არ გაბრაზდესო და ნომერიც კი  
გამოცვალე. საინტერესოა, რა ნამუსით ეძებ, ან ვის  
ეძებ, ან როგორ არ გრცხვენია.

**სვეტა:** ჩემი შვილი გვერდით მინდა მყავდეს, დანარჩენს  
აღარ აქვს მნიშვნელობა. უკვე უმაღლესაც  
დაამთავრებდა... შეიძლება მუშაობს...

**ხმა:** შეიძლება სულაც შენ დაგემსგავსა.

**სვეტა:** არა, არა, ის ასე არ იცხოვრებდა.

**ხმა:** შენი შვილია!

**გამწარებული სვეტა სურათს დაეძებს, იპოვის, ხელს  
გაშლის და სასოწარკვეთილი სივრცეს მიმართავს.**

**სვეტა:** აი, ნახქ, როგორი საყვარელია, ხედავ? გინახავს  
ასეთი ლამაზი და საოცარი ბავშვი?!

**სმა:** ეს ხომ მხოლოდ თვეების ჩვილია! იცი, ახლა  
რამდენი წლის იქნება?

**სვეტა:** როგორი ლამაზი და სუფთა თვალები აქვს!

**სმა:** შენც ძველებურად ლამაზი თვალები გაქვს,  
მაგრამ...

**სვეტა** ჩიხში მოექცა. უეცრად რაღაც გაახსენდება.  
საბუთებში რაღაცას იქმქება, მერე ერთ ფურცელს  
ააფრიალებს.

**სვეტა:** აქ წერია, რომ კარგად სწავლობდა. თურმე,  
ნიჭიერი ბავშვი ყოფილა, ბავშვთა სახლის მერე  
მონასტერში წასულა. მერე აღარ ვიცი, თუმცა, მაინც  
მოვძებნი. რადა დარჩა. კოკა დაიკარგა, მდვდელმაც  
უარი მითხრა დახმარებაზე. არა უშავს, კოკა ხომ  
მაინც გამოჩნდება.

**სმა:** არ გიფიქრია, რომ შენი ცოდვებისათვის ისჯები?

**სვეტა:** ეს კედლებია ჩემი სასჯელი და ყველა ცოდვა  
ჩამოვირცხე. გამოსყიდული მაქვს ცოდვები,  
საქმარისია უკვე.

**სმა:** ვერც კი ხვდები, როგორ უმატებ ცოდვას  
ცოდვაზე.

**სვეტა:** რომელ ცოდვაზე ამბობ?

**ამ დროს ინგა წამოისლუბუნებს. სვეტა თავს მიაბრუნებს.**  
**სმა ცინიქურად ჩაიხითხითებს.**

**ინგა:** სვეტა დეიდა, არ გამიბრაზდეთ, გთხოვთ, არავისთან  
არასოდეს მისაუბრია ამაზე. ამ ბოლო დროს ხშირად  
ვფიქრობ, უეცრად რომ მოვიდეს ვინმე და მითხრას,  
რომ დედაჩემია, როგორ მოვიქცევი? მისმენთ, სვეტა  
დეიდა?

**სვეტა ჩუმად ზის და არ პასუხობს, თან სურათს ჩასჩერებია. ინგა აგრძელებს, თან სადღაც იყურება.**

**ინგა:** შეიძლება ცუდი შვილი ვარ, მაგრამ ვერ წარმოიდგენო, როგორ ვოცნებობ დედასთან შეხვედრაზე. ყველა ლამაზი ქალი დედაჩემი მეგონა. ბავშვებს თეატრში რომ წაგვიყვანდნენ, მეგონა, რომელიმე მსახიობი სცენიდან ჩამოვიდოდა, ხელში ამიყვანდა, მომეფერებოდა და ჩამჩურჩულებდა, რომ დედაჩემი იყო. მაგრამ ეს ოცნება დღემდე არ ამსრულებია.

**სვეტა:** რატომ იმეორებ ხშირად, რომ დედაშენი ლამაზი იყო?

**ინგა:** ერთი მომვლელი გვყავდა, ის მეუბნებოდა ხოლმე, დედაშენისნაირი ქალი ადარსად მინახავსო.

**სვეტა:** იქნებ გატყუებდა?

**ინგა:** მარგო დეიდამ ტყუილი არ იცოდა.

**სვეტა** ეჭვით გააქნევს თავს და ჩაფიქრებული აგრძელებს სიარულს. ზოგჯერ ინგას ჩაფიქრებული გახედავს ხოლმე.

**სვეტა:** ინგა, რა გითხრეს, გაქვს რაიმეს იმედი?

**ინგა** ასეთ შეკითხვას არ ელოდა, გაოცებული წამოდგება და თავს მიარტყამს რკინაზე. ინსტინქტურად წამოიძახებს: „ვაიმე, დედა“. ამის გაგონებაზე სვეტა მივარდება, თითქოს გულში უნდა ჩაიკრას, მაგრამ გაწვდილ ხელს საწოლზე ჩამოდებს და ცივად ეტყვის.

**სვეტა:** რით ვერ მიეჩვიე ადგომას, თავს გაიტეხავ ერთხელაც იქნება.

**ინგა** გაიცინებს და თავზე ხელს ისვამს.

**ინგა:** სამასსოვროდ დამრჩება. მოძღვარმა მითხრა, რომ მკვლელები უპოვიათ, დაიჭერენ და მე გამიშვებენ ალბათ.

**სვეტა:** მართლა არ მოგიკლაგს?

**ინგა:** რას ამბობთ, სვეტა დეიდა! მე სიცოცხლე მიყვარს, როგორ შემიძლია ვინმეს მოკლა? ან რატომ უნდა მომეკლა?

**სვეტა:** უამრავი მიზეზით შეიძლება მკვლელობის გამართლება.

**ინგა:** ჩემთვის არავის არაფერი დაუშავებია. არავიზე არ მწყდება გული, არც არავის ცუდი არ მინდა. არც თქვენზე ვარ გაბრაზებული. თქვენ მკვლელი გგონივართ და იმიტომაც გეზიზღებით.

**სვეტა შეიშმუშნება, თითქოს შერცხვება.**

**სვეტა:** მე არ მეზიზღები.

**ინგა უფრო თამამად განაგრძობს.**

**ინგა:** კი, გეზიზღებით, ვერ მიტანთ. მაგრამ როგორც კი დარწმუნდებით, რომ უდანაშაულო ვარ, ვიცი, მომესვევით და გულში ჩამიკრავთ. თქვენ ჩემში მკვლელს ხედავთ და ის გეზიზღებათ. მასესოვს, პირველად როგორი თვალებით შემომხედეთ. მაშინ შევნიშნე რადაც წამიერი ნაპერწკალი ზიზღის თუ შურის, მე ხომ იმ სამყაროდან მომიყვანეს, თქვენ რომ წლების უგან დაგატოვებინეს. ახლა ვიცი უკვე, რომ ამ ნაცრისფერ სამყაროს არ უყვარს განსხვავებული სურნელება. აქ მხოლოდ ერთი სურნელია – ნესტის, მარტობის, ტარაკნების, ბაღლინჯოების და ამჟავებული ბალანდის ერთად შერეული. დღეში ათასჯერ რომ იბანაო, მაინც პატიმრის სუნად ყარსარ და მავთულხლართებით მორთული კედელი გაშორებს იმ ცხოვრებას, რომელსაც ყველა მივტირით.

**სვეტა მაგიდასთან დგას და ინტერესით შეჰყურებს ინგას.**

**სვეტა:** ჭკვიანი საუბარი გცოდნია. არ მოგველოდი. აქამდე  
რატომ არ იღებდი ხმას?

**ინგა:** მეშინოდა.

**სვეტა:** რისი?

**ინგა:** თქვენი, სვეტა დეიდა. ახლაც მეშინია. სულ  
მგონია, რომ ჩემი ცემის სურვილი არ გასვენებთ.  
ახლა კიდევ რომ მცემოთ, არ ვინანებ, გითხარით,  
რისი თქმაც მსურდა.

**სვეტა:** ახლა რამ გაგაბედინა ამის თქმა?

**ინგა:** ვინმეს ხომ უნდა ეთქვა, რომ ძალიან ლამაზი, მაგრამ  
ზედმეტად გაბოროტებული ხართ, არ ვიცი რატომ,  
მაგრამ უამრავჯერ მინდოდა, დამით დაგჯდომიდით  
ფეხებთან და ჩაგხებულებოდით. როცა თავი მივარტყი  
და ჩემსკენ წამოხვედით, მეგონა, მომეფერებოდით,  
მომებვეოდით მაინც. მართალია, ეს არ გააკეთეთ,  
მაგრამ ისეთი სითბო ჩამელვარა სულში, მიგხვდი,  
რომ თქვენ არ ხართ ისეთი მკაცრი, როგორც ეს  
შორიდან ჩანს. ასეთი რამ არავისგან მიგრძნია.

**სვეტა ისევ გამომცდელად უყურებს, თან სიგარეტს**  
**ეწევა.**

**სვეტა:** შენ ხომ არაფერს მიმალავ?

**ინგა:** არაფერს არ ვმალავ.

**ინგას სახე შეეცვლება. შეშინებული სახით უკან**  
**დაიხევს.**

**ინგა:** დედას გეფიცებით, არაფერს არ გიმალავთ, მართლა  
არ ვმალავ არაფერს, ან კი რა მაქვს დასამალი.  
თქვენ, მგონი, არც კი მისმენდით.

**სვეტა წამოდგება და კარადასთან მიდის, დვთისმშობლის**  
**ხატს თვალს გაუშტერებს და თავისთვის**  
**ჩასჩურჩულებს: „დედას გეფიცები, დედას გეფიცები“...**  
**მერე გაიღიმებს და ოდნავ შემობრუნდება.**

**სვეტა:** ესე იგი წახვალ.

**ინგა:** ალბათ.

**სვეტა:** სად მიდიხარ?

**ინგა** გაჩუმდება და თავს დახრის.

**ინგა:** არ ვიცი. უკვე რამდენი თვეა, აქ ვარ, ვინმეს შევაწუხებ.

**სვეტა:** არც დამის გასათევი გაქვს?

**სვეტა** უფრო თავისთვის ლაპარაკობს. ინგა მხრებაწურული ტუჩებს იკვნებს, მაგიდიდან ცხელი ყავით სავსე ჭიქას აიღებს და სვეტას მიაწოდებს.

**სვეტა:** დამის გასათევი გექნება!

ისეთი მტკიცე ხმით ამბობს სვეტა, მოულოდნელობისაგან ინგას ჭიქა ხელიდან უვარდება და ყვირის. ცხელი წყალი ფეხზე გადაესხმება და დაეწვება. დაბნეულმა სვეტამ არ იცის, როგორ მოიქცეს. ინგა საწყლად დასჩერებია ფეხს და მწარედ ტირის.

**სვეტა:** გესმის, რა გითხარი?

**ინგა:** სვეტა დეიდა, ფეხი დავიწვი, ძალიან მტკიცა.

სვეტა ახლოს მიდის და დასჩერებია. ინგა სკამზე ზის და ხმამაღლა ტირის. სვეტა დაჟყურებს ინგას ფეხს. სახეზე ყოფმანი აწერია, უეცრად თვალწინ წლების წინანდელმა ამბავმა გაურბინა.

## მესუთე მოქმედება

სცენაზეჩანს გრძელი სკამი, შექმნილია სკვერის იმიტაცია.

ახალგაზრდა სვეტა სკამის წინ მოუთმენლად დადის.

ყოველ წუთს საათზე იხედება. როგორც იქნა, გამოჩნდა ახალგაზრდა. მომხიბლავი მამაკცი ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა. სვეტამ საკოცნელად გაიწია, მაგრამ კაცმა უგულოდ შეაჩერა.

**კოგა:** მალე უნდა წავიდე, სულ რამოდენიმე წუთის დრო მაქვს.

**სვეტა:** განა რა მოხდა, ასეთ სერიოზულ საქმეს რამოდენიმე წუთი არ ეყოფა.

**კოგა:** რა დროს საქმეა, ბავშვი მყავს ცუდად, საავადმყოფოშია, ნატოც ცუდადაა, პატრონობა სჭირდებათ.

**სვეტა:** რა დაემართათ?

**კოგა:** გოგონას ცხელი წყალი გადაესხა.

**სვეტა:** დედამისი სად იყო? ვერ მიხედა?

**კოგა:** პატარას ძუძუს აწოვებდა.

**სვეტა:** არ ვარგა ეგ ქალი, მაგრამ არ გესმის, ორი ლაწირაკისათვის ვერ მიუხედია, ახლა ეს საქმეც გაფუჭდება.

**კოგა:** (ვაპრა ზებით) ეგ ქალი ჩემი ცოლია და საუკეთესო დედაა. ნება, შენ რა გესმის დედობის. უამრავჯერ აგიკრძალე მისი სხენება.

**სვეტა:** მეც შემეძლო კარგი დედა ვყოფილიყავი, მაგრამ არ ინდომე.

**კოგა ირონიულად ახედ-დახედავს და გაიცინებს.**

**კოგა:** შენ? რას ბოდავ, შე საწყალო, შენნაირი ქალი ვერასოდეს კარგი დედა ვერ იქნება. მაინც რა უნდა ასწავლო შვილს – ქურდობა, ყაჩაღობა თუ ბოზობა? გაჭრილი თითის გადახვევა თუ შეგიძლია? ან ვის რაში სჭირდება შენი ბინძური ხელის შეხება. იცოდე შენი აღილი და ენა დაიმოკლე. როცა შევძლებ, გნახავ.

კოკა მიბრუნდება და სვეტას მარტო ტოვებს. გაოგნებული სვეტა დგას და გასცქერის, როგორ შორდება კაცი.

სვეტა ყოფილით დაჟურებს ინგას, რაღაც მომენტში წამიერად თითქოს ტკიფილმაც გადაურბინა სახეზე, წაიწია კიდეც, მაგრამ მაშინვე ზურგი შეაქცია.

**სვეტა:** არაფერი მოგივა, არ მოკვდები, ცივი წყალი გადაივლე და დაგიამებს.

ინგა ტირილს წყვეტს და დგება. ცდილობს, გაიაროს, მაგრამ არ გამოსდის. დასაყრდნობსაც ვერაფერს ამჩნევს.

**ინგა:** სვეტა დეიდა, მომეხმარეო!

სვეტა ინსტინქტურად გაუწოდებს ხელს, საწოლთან მიიყვანს და ცივად მოშორდება. არაფრად აგდებს ინგას ცრემლებს, თავის საწოლს მიეყრდნობა და არეული ხმით ეუბნება.

**სვეტა:** აქედან გასულს ჩემი მეგობარი დაგხვდება, ადვოკატია, თავის ოჯახში მიგიყვანს. დაგეხმარებიან.

**ინგა:** რა სოქვით? (გაოცებულს ტკიფილი ავიწყდება)

**სვეტა:** რა გაგიკირდა? მეც ადამიანი ვარ და მეცოდები. ასე უპატრონოდ დაიკარგები. რაიმე საშველს გამოგიძებიან, მაგრამ უმაღურობა არ გამოიჩინო, დაუჯერე და არ დაგავიწყდეს, რომ ცხოვრება ომია, ომში კი ყოველთვის ძლიერი იმარჯვებს.

**ინგას** ადარ ახსოვს ფეხის ტკიფილი, ლოყებზე ცრემლები უბრწყინავს.

**ინგა:** სვეტა დეიდა, ეს თქვენა ხართ? ვგრძნობდი, რომ ძალიან კეთილი იყავით.

**სვეტა:** კეთილი? კეთილი, არა! უბრალოდ, შენ ცხოვრება  
არ იცი, მინდა, ხელი წაგაშველო. მარტო სწავლით და  
სილამაზით ვერაფერს გახდები, სწორი მიმართულება  
და გამოცდილი დამრიგებელი გჭირდება. ლამაზი  
გოგო ვიყავი, მეც დავფრინავდი, ვცდილობდი,  
მაგრამ არაფერი გამომდიოდა. ყოველთვის ვიღაც  
ცდილობდა ჩემზე უფროსობას. ყოველთვის სხვა იყო  
ჩემზე ჰკვიანი. დღეს კი ხომ ხედავ, როგორი ვარ?  
ასეთი უნდა იყო. ერთი რამ კარგად დაიმასხოვრე  
—არ არსებობს ქვეყანაზე არაფერი არც სიკეთის და  
არც სიყვარულის მაგვარი. ადამიანი მარტოა, გესმის,  
მარტო და როდესაც ცდილობს, ვინმეს მიეტმასნოს,  
სწორედ მაშინ უშვებს შეცდომას. ზოგჯერ ეს  
შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდება ხოლმე.

**ინგა:** რა შეცდომა. სვეტა დეიდა, რატომ ამბობთ ასე?

**სვეტა:** ყოველი ნაბიჯი შეცდომაა, რომელიც  
ბედნიერებასთან ვერ მიგვიყვანს.

**ინგა:** ბედნიერება რაღაა? იცის ვინმემ ან თქვენ იცით?

**სვეტა ცდილობს თვალი მოარიდოს ინგას და მაგიდისკენ  
მიდის.**

**სვეტა:** ბედნიერებაა, როცა არავისი არ გეშინია, როცა  
ძლიერი ხარ, როცა ლადად ცხოვრობ.

**ინგა:** სიყვარული? სიყვარული ხომ მთავარია,  
უსიყვარულოდ როგორ იქნები ბედნიერი.

**სვეტა:** სიყვარული მთავარია, ოღონდ მხოლოდ საკუთარი  
თავი უნდა გიყვარდეს. თუ საჯუთარ თავს პატივს  
სცემ, სხვებიც შეგიყვარებენ. მაგრამ როგორც კი  
ნახავენ, რომ სხვას ამჯობინებ შენს თავს, ისე  
გაგოელავენ, არავის არ დაენანები.

**ინგა:** რას ამბობთ, როგორ შეიძლება მხოლოდ საკუთარი  
თავი გიყვარდეს! მე კი მგონია, რომ სხვისი შეევარება  
უდიდესი ნიჭია.

**სვეტა:** შეევარებული ხარ?

**ინგა:** მთავარი ეს კი არ არის, მე მიყვარს თუ არა ვინმე.

მთავარია, რომ ამ სიყვარულმა სხვებს ბედნიერება  
მიანიჭოს, უმთავრესი კი უფლის სიყვარულია.

**სვეტა:** გამოუცდელობა გალაპარაკებს.

**ინგა:** არავინ გიყვარდათ? თქვენ ისეთი ლამაზი ხართ!

**სვეტა:** ცხოვრებამ მასწავლა, რომ იმდენად მიყვარდეს,  
რამდენსაც იმსახურებენ.

**ინგა:** ასეთი სიყვარული არ არსებობს!

**სვეტა:** რატომ გგონია?

**ინგა** მეოცნების ღიმილით პასუხობს.

**ინგა:** როცა გიყვარს, არაფერი არ უნდა გახსოვდეს,  
ღრუბლებში უნდა დაფრინავდე, სულ გადიმებული  
უნდა იყო, სიცოცხლე უნდა გიხაროდეს, უნდა  
დიდინებდე...

**სვეტა:** ეს პოეტების საქმეა. მე ჩემებური სიყვარული  
ვიცი – ჯერ საკუთარი თავი, მერე სხვა.

**ინგა:** შვილი? შვილი ხომ საკუთარ თავზე მეტად  
გიყვარო?

**სვეტა** შეცბება და სიარულს დაიწყებს.

**სვეტა:** შვილი სხვა თემაა. მე შენზე ვსაუბრობ, რომ  
არავინ დაგჩაგროს.

**ინგა:** მე მაინც მგონია, რომ სიყვარული სიყვარულია,  
თუ გიყვარს – გიყვარს. სიყვარულში ზომიერება  
ვერც კი წარმომიდგენია. და თუ თუნდაც ერთი  
ადამიანის სიყვარული შეგიძლია, მაშინ მთელ  
სამყაროს შეიყვარებ. ისიც გამიგია, რომ ყველაზე  
ძლიერი სიყვარული დედა-შვილური სიყვარულიაო.  
მეც საკუთარ თავზე მეტად მეყვარება ჩემი შვილი  
და ჩემს გარეშეც არასოდეს დავტოვებ.

**სვეტა** გაფითრდება, მუშტებს შეკრავს, მაგრამ თავს  
შეიძაგებს და გვერდზე შებრუნდება.

**სვეტა:** ერთი სიტყვით,შევთანხმდით. შენ ჩემს მეგობართან  
მიდიხარ და იქნები ჭკვიანი გოგო, ისეთი ჭკვიანი,  
რომ ყველას ჩემსავით შეუყვარდე.

**ინგა:** ვინ ყველას?

**სვეტა:** ყველას, ვინც შენს გვერდით იქნება და სიობოს  
არ მოგაკლებს.

**ინგა:** რა ოქმა უნდა, აუცილებლად ... არავის არ  
ვაწყენიებ...

**სვეტას** ცინიკური ღიმილი არ შორდება, თუმცა, ინგა  
ამას ვერ ამჩნევს, დგას კმაყოფილი სახით და არ  
იცის, როგორ მოიქცეს.

**სვეტა:** კარგი, მიდი, დაიძინე, გვიანია უკვე. მეც  
დავისვენებ, ხვალ კი ყველაფერი ავწონ-დავწონოთ.

**ინგა** უთქმელად წავა საწოლისკენ, წამოწვება და  
პირჯვარს გადაიწერს. **სვეტა** ყურადღებით უცქერის,  
დრმად არის ჩაფიქრებული, მერე თითქოს რადაცას  
იშორებსო თავიდან, ხელს აიქნევს.

**ხმა:** სვეტა, ეს შენ ხარ? რა დაგემართა? როდის იყო,  
ასე თბილად იქცეოდი. ბევრი რამ კი დამალე.  
მაინც, რატომ არ უთხარი, რომ სიყვარულმა მოელი  
ცხოვრება თავდაყირა დაგიყენა და როგორც უნდოდა,  
ისე გაძურთავა, ხომ არ გრცხვენია აღიარების?

**სვეტა:** შეიძლება, ასეც იყო, მაგრამ რა სხვისი საქმეა,  
ან ამას ვინ ეკითხება.

**ხმა:** არც იმას ეტყვი, რომ ამ უბედურს შენს საბედისწერო  
საყვარელთან აგზავნი?

**სვეტა:** არა!

**ხმა:** არც იმას, რომ ის შენი პირველი მამაკაცი იყო და  
ძალიან პატარა გაგაუპატიურა?

**სვეტა:** არა, არასოდეს!

**ხმა:** არც იმას, რომ მან დაგაწყებინა მეძავობა და მან  
გაიძულა ქუჩის ცხოვრება?

**სვეტა:** არა!

**ხმა:** მის გამო რომ ყოველგვარ სიბინძურებს ჩადიოდი დაუფიქრებლად, ამასაც დამალავ?!?

**სვეტა კანკალებს, ცდილობს, სიგარეტს მოუპიდოს, მაგრამ ვერ ახერხებს.**

**ხმა:** ის მაინც უთხარი, რომ შვილიც მის გამო მიატოვე, რადგან ის იყო წინააღმდეგი. შენ კი მის გარეშე არ შეგეძლო სიცოცხლე.

**შვილის ხსენებაზე სვეტა თავს დახრის, სიგარეტს დაანაგუწებს და იატაკზე დაყრის.**

**ხმა:** ის მაინც უთხარი, იმ შენი სიყვარულის გამო რამდენჯერ იგემჟ ციხის სიმწარე. არც იმის თქმა დაგავიწყდეს, რას შესწირე ამ ბოლოს შენი თავისუფლება, უთხარი ყველაფერი, კარგად რომ დაინახოს შენი ნამდვილი სახე.

**სვეტა დგას ხელებჩამოყრილი და არაფერს პასუხობს. თითქოს, სუნთქვაც კი გაუჩერდა.**

**სვეტა:** რატომ არ მანებებს თავს წარსული? ვცდილობ, დაგივიწყო, მაგრამ მუდმივად რაღაც მახსენებს, თითქოს ვიღაც შეგნებულად ცდილობს, ტკივილი მომაყენოს.

**ხმა:** გახსენებ! კი არ გახსენებ, ვცდილობ, არ დაგავიწყდეს. შეხედე შენს თავს, ვინა ხარ, როგორი ხარ, ოდესდაც კი როგორი ქალი იყავი. თუმცა, ქალი არც გეთქმოდა, ბავშვი უფრო იყავი, პატარა გოგო. მარტო შენი ღიმილი და სითბო რად ღირდა. მერე კი გაქრა ეს ყველაფერი, მაგრამ ხად, რატომ არ დაფიქრებულხარ? არ გაინტერესებს?

**სვეტა:** ადარაფერი ადარ მაინტერესებს. იყო დრო, როცა ძალიან მტკიოდა სულში რაღაც. ბევრს ვფიქრობდი

ჩემს ცხოვრებაზე, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ არ ღირდა ფიქრი. ვიცხოვრე ისე, როგორც ვიცხოვრე და ვედარაფერს ვერ შევცვლი. ადარ მინდა ამაზე ფიქრი!

**ხმა:** ეს გოგო მეცოდება!

**სვეტა:** რატომ გეცოდება, რა აქვს საცოდავი, სახლი ექნება, იმუშავებს...

*გაისძის დამცინავი სიცილი.*

**ხმა:** იმუშავებს... შენც მუშაობდი, მუშაობდი და ცდილობდი, არაფერი არ დაგეპარგა, რასაც კი იღბალს გამოსტაცებდი. შენ რა იცი, რა არის მუშაობა! ან რას ეძახი მუშაობას? ქუჩაში დგომას? შენთვის ხომ სულერთი იყო, როგორ გექცეოდნენ. მთავარი იყო ფული და მხოლოდ ფული, როგორ გაახარებდი კოკას. გაფაციცებით შეცქეროდი, გაიდიმებდა თუ არა. განსაკუთრებულ შემთხვევებში იქნებ დამე გაეთია შენთან.

**სვეტა:** ცდები. გინდა, რომ გული მატკინო.

**სვეტა რატომდაც ინგასთან მივა, წამიერად დახედავს და ისევ უკან გამობრუნდება.**

**სვეტა:** რომ შემეძლოს უკან დაბრუნება, ნეტა როგორ მოვიქცეოდი? ალბათ ისე, როგორც ვიქცეოდი. ან კი რა მაკლდა? არაფერი! ძლიერი ვიყავი და ყველაფერი გამოვცადე, არასოდეს დავცემულვარ. არ მინდობდნენ და არც მე ვინდობდი, მებრძოდნენ და არც მე ვიხევდი უკან.

**ხმა:** არ გინდა, აღიარო, თორემ მთელი შენი ცხოვრება ერთი მთლიანი შეცდომაა. ამ საცოდავი გოგოს უმანკოება და სისუფთავე ჭკუიდან გშლის. ამის ასაკში შენ უკვე გარყვნილი ქალი იყავი და ამიტომ ვედარ იტან შენზე სუფთას ვერავის. ეს საწყალი კი სუფთა ფურცელია. შენ ფრთხილად ცდილობ, ჯერ

ლაქებით ააჭრელო, მერე კი ისე დასვარო, თვითონ  
აარიდოს თვალი. რადგან შენ არ გქონდა ნორმალური  
ცხოვრება, სხვისთვისაც არ გემეტება.

**სვეტა:** სწორედ ის იყო ნორმალური ცხოვრება, რითაც მე  
ვიცხოვრე, დანარჩენი კი სისულელეა ყველაფერი. ამ  
საჩუქარს კი კოკას გავუგზნი, ვერ დამიწუნებს.

**ხმა:** დმერთის გეშინოდეს და გახსოვდეს, რომ შვილი  
გყავს. ვინ იცის, რა დღეშია ახლა.

**სვეტა** გაავებული სახით გასცემის სიბნელეს, მაგრამ  
ჩუმდება და სიგარეტს უგიდებს.

## მექქსე მოქმედება

დგას მაგიდა და ორი სკამი. შემოდის მაღალი, თმაშევერცხლილი, მომხიბვლელი მამაგაცი. საქაღალდეს მაგიდაზე დებს, პიჯაკს შეისწორებს, საათს დახედავს. (ერთ ხელზე ოქროს საათი უკეთია, მეორე ხელის მჯაზე – ოქროს მასიური სამაჯური). თვითგმაყოფილებით გადაისგამს თავზე ხელს, მოუთმენლობას არც მალავს და ხმამაღლა ფიქრობს.

**კოგა:** მთელი ცხოვრება უნდა ვსდიო ამ----- ჯერ თვითონ, ახლა ეს ლაწირაკი. ყველა ნა---ს მე ხომ არ უნდა ვუპატრონო. ისე სვეტა მაგარი ქალი იყო. ახლა ცოტა მოტყდა. ამ ბოლო დროს ძალიან გაუბერა. ამდენი წლების შემდეგ შვილის მოძებნა მოინდომა. ერთი-ორი რაღაც კი მოვიძიგ, ესეც ზედმეტია მისოვის. მორჩა, სვეტა, როგორ არ გინდა, გაიგო, მაგრამ არა უშავს, გაგაგებინებ. რადა უნდა გამიკეთოს! აქ კარგადაა მოყუჩებული. დროა, სიახლე შევიტანო ჩემს ცხოვრებაში.

შემოჰყავთ ინგა. კოგა მოულოდნელობისაგან შეკრთა. შეეტყო, რომ არ ელოდა ასეთ სიურპრიზს. მიუახლოვდება და ხელს გაუწვდის.

**კოგა:** გამარჯობა, ინგა!

**ინგა დაბნეული შესცეკრის.**

**ინგა:** გამარჯობა!

**კოგა:** დაჯექი, დაბრძანდი, მოდი, მოდი!

კოგა ცოტა დაბნეულია. იდაყვზე მოკიდებს ხელს და სკამზე დასვამს. თვითონ წინ დაუჯდება და აცდის, აზრზე მოვიდეს. შეუმჩნევლად გამოაჩენს ოქროს

**ჯგარს.** ნაცადი სიმარჯვით მაჯებსაც გაიშიშვლებს. ინგას თვალი გაექცევა ოქროს ნივთებისკენ და აღტაცებით მიაშტერდება. კოკა შეუმჩნევლად გაიღიმებს.

**კოკა:** ინგა, მე ვარ კოკა. სვეტამ ცოტა რაღაც მიამბო შენს შესახებ. ვიცი, რომ არავინ არ გყავს. რამოდენიმე დღეში გამოდიხარ, რომ არსად არა გაქვს წასასვლელი და ა. შ. მე დავპირდი, რომ მოვიფიქრებდი რამეს, რისი გაკეთება შემიძლია.

**საუბრის დროს კოკა მარჯვენა ხელის არათითზე** წამოცმულ ბეჭედს ატრიალებს, თან ინგას თვალს არ აშორებს. ბოლო სიტყვებზე ინგას შეშფოთება შეეტყობა. წამიერი შეუოვნების შემდეგ კოკა გააგრძელებს.

**კოკა:** ვიფიქრე და მივხვდი, რომ არ ვიქნები მართალი, თუ ხელს არ გამოგიწვდი და ზურგს შეგაქცევ. დღეს რთულია თავის გატანა. ერთად რაღაცას მოვიფიქრებთ.

**ამ დროს შემოდის თანამშრომელი.**

**თანამშრომელი:** ბოდიშს გიხდით, ბატონო კოკა, სასწრაფოდაა ინგას ხელმოწერა საჭირო. მხოლოდ ორიოდე წუთით დაგაყოვნებთ.

**კოკა სკამიდან წამოდგება.** ვიდრე ინგა რაღაც საბუთებს ეცნობა, კოკა ხმამაღლა ფიქრობს.

**კოკა:** რა ლამაზია! რაღაცით სვეტას მაგონებს, ასეთი ქორფა იყო, როცა პირველად ვნახე. ის დღე ახლაც მასსოვს, მაგრამ ეს უფრო მაგარია. ვერ ვხვდები, საიდან მეცნობა, სადღაც ნანახი მყავს თითქოს ან სურათი მინახავს. რაღაცით ჩემს თავსაც მაგონებს,

თმის ფერი და თვალებიც ჩემი რომ აქვს. რა სისულელეს ვფიქრობ. ჩემი საიდან იქნება. სვეტამ მითხრა, მშობლებს არც კი იცნობსო.

**კოგა** ჩაფიქრდება, რაღაცას ითვლის, ინგასკენ შებრუნდება და თმებზე მიაშტერდება. მერე თავს გააქნევს და ფიქრს გააგრძელებს.

**კოგა:** რამ გამომაშტერა, რაებს ვბოლავ. დრო კი ემთხვევა, მაგრამ ის ბავშვი ვისი იყო, სვეტამ თვითონ არ იცოდა. ამას მივხედო, როგორც საჭიროა, მაგარი გოგო! ყოჩად, სვეტა! იცი შენი საქმე, მთავარია, არ დავაფრთხო.

სოციალური მუშაკი ამთავრებს და მიდის. კოგა ინგას მიუახლოვდება, გაუდიმებს. ინგა ნერვიულობს და ხელში კალამს ატრიალებს. კოგა ნაზად მოკიდებს ხელს ხელზე.

**კოგა:** რატომ ნერვიულობ, ინგა? სიკეთის მეტი არაფერი მამოძრავებს. შენ ლამაზი გოგო ხარ და, როგორც ვიცი, ჰქვიანიც. მამაომ ბევრი რამ მითხრა შენზე. ჩვენ თურმე ერთი მოძღვარი გვყავს.

**ინგა:** მამაომ? ე. ი. ოქვენ იცნობთ ჩემს მოძღვარს?

**კოგა:** ვიცნობ, ვიცნობ. ჩვენ უკვე ვამთავრებო მისი ტაძრის მშენებლობას. შევთანხმდით, რომ დღეს ისიც მობრძანდება შენს სანახავად.

ინგას სიხარული შეეტყობა. აცმუკდება, მაგრამ თვალი მაინც კოკას მაჯებისკენ გაურბის, ხან ჯვარს შეხედავს, ბოლოს გრძელ თითებზე დააშტერდება. კოგა შეამჩნევს და ძალიან ნაზად შეისწორებს მაჯაზე საათს. ინგას სიწითლე შეეპარება, ცდილობს, სახე მოარიდოს და გრძნობები დამალოს. კოგას რაღაც გაახსენდება.

**კოგა:** სვეტამ რა გიამბო ჩემზე?

**ინგა:** მითხრა, რომ მისი მეგობარი ხართ, ადვოკატი,  
საქმიანი, რომ კარგი ოჯახი გყავთ.

**კოგა:** მეტი არაფერი?

**ინგა** თავს გააქნევს. **კოგა** კმაყოფილებით გაიღიმებს.

**კოგა:** მერე უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს. თავიდან  
ცოტას გავიჭირვებთ, რაღაც სამსახურსაც გიშოვით,  
ბინაში დროებით ჩემთან იქნები, როცა წელში  
გაიმართები, მარტო იცხოვრებ. მეც შენს გვერდით  
ვიქნები. **სვეტას** ყოველდღე ვეხმარებოდი, თუმცა, ის  
არასოდეს მიჯერებდა და შედეგსაც ხედავ ვეცადოთ,  
მარტივად ვიაზროვნოთ, რადგან ცხოვრება უბრალოა  
და უხეში.

**კოგა** ხელებს ისე ამოძრავებს, რომ ხშირად გამოაჩინოს  
ოქროს ნივთები. ინგაც გაფაციცებით ადევნებს თვალს.  
კოგა ერთი წამით არ უშვებს თვალთახედვიდან  
ინგას მოძრაობებს.

**ამ** დროს შემოდის მამაო. **კოგა** თავაზიანად წამოდგება  
და თავდადრეკილი ემთხვევა მხარზე. მოძღვარი  
ინგასაც დალოცავს.

**კოგა:** გელოდით, მამაო! დაბრძანდით.

**მოძღვარი:** ვხედავ, გაგიცვნიათ ერთმანეთი.

**კოგა:** გავიცანით, მამაო. თქვენ მართალი იყავით.  
მართლაც კარგი გოგონა ჩანს ინგა. თქვენთან ხომ  
კარგად მიდის ყველაფერი? დღეს ბიჭები კიდევ  
მოგაშველებენ მასალას.

**მოძღვარი:** დაბლოცოს უფალმა. მართლა კარგად მიდის  
საქმე. თუ ასე გაგრძელდა, მალე დავამთავრებოთ. შენ  
უნდა გიმადლოდე ამ ტაძრის დამთავრებას.

**კოგა:** რას ამბობთ, მამაო! ამდენი წელია, მიცნობთ,  
მადლობა არ უნდა მითხრათ, თქვენგან ასეთი  
დავალებული ვარ! თქვენ, ალბათ, სასაუბრო

გაქვთ. დაგელოდებით და ერთად წავიდეთ, ჩვენს ბიჭებს შევუაროთ, დავხედოთ, რას შვრებიან, მერე გისადილოთ და საქმეზეც დავილაპარაკოთ.

კოკა ინგას წამიერად ჩააშტერდება, გაუდიმებს და გვერდით გადგება, მაგრამ ძალიან ჩაფიქრებულია.

**ინგა:** მამაო, დიდი ხანია იცნობთ კოკას?

**მოძღვარი:** აღარც კი მასსოგს, როდის გავიცანი. დიდი დრო გავიდა მას მერე. ჭკვიანი კაცია, უამრავ სიკეთეს აკეთებს.

მამაო ინსტიქტურად გვერდზე გაიხედავს, ხელით კი გულზე დაკიდებულ ჯვარს წაეპოტინება.

**ინგა:** რაღაც უხერხულობას ვგრძნობ, მამაო, ხომ არ ჯობდა, მონასტერში წავსულიყავი დედაოებთან? მაინც უცხო კაცია და...

**მოძღვარი:** რას ამბობ. მონასტერში გაგიჭირდება. ეს კაცი ცნობილი იურისტია, თავისი საქმეც აქვს, შეიძლება მშობლების მოქებნაშიც დაგეხმაროს. სიკეთის კეთება ძალიან უყვარს. ხომ ხედავ, მოვიდა და გნახა. ღმერთმა გადმოგხედა.

**ინგა თავს დახრის და შეუმნევლად ტუჩს მოიკვნეტს.**

**მოძღვარი:** შენ თავაზიანობა და მადლიერება გამოხატე. მის ოჯახში იცხოვრებ და დაკვირვებით მოიქცე. იმდენი ობოლი და უპატრონოა უსახლკაროდ ქუჩაში! შენ კი გაგიმართლა. სანერვიულო არაფერი გაქვს. მეც შენს გვერდით ვარ. ნუ განიცდი ასე ძალიან. უფალი არასოდეს მიგატოვებს.

კოკა მიუახლოვდება მაგიდას. ინგა ინტერესით ახედავს და რატომდაც გაწითლდება, მამაოც შეამჩნევს კოკას თვალებში ველურ მზერას და თვალს მოარიდებს.

**კოპა:** არ წავიდეთ, მამაო? მგონი, დროა „უპეე!

**მოძღვარი:** წავიდეთ. ინგა, მალე შევხვდებით გარეთ და  
ამ კეთილ კაცს ერთად ვეტყვით მადლობას. ლოცვები  
არ მიატოვო.

**კოპა:** ინგა, მოუთმენლად გელოდები. სვეტა მომიკითხე.  
გადაეცი, რომ ძალიან ჭკვიანი ქალია და მალე  
ვინახულებ.

**კოპა** ხელს ჩამოართმევს, ინგას აკანკალებულ ხელს  
თბილად გადაუსმევს თითებს, ცოტა ხნით შეაყოვნებს  
თავის ხელში, გაუდიმებს და ნაზად გაუსწორებს  
ლოფაზე ჩამოშლილ თმას. მამაო აჩქარებით აუკლის  
გვერდს და კარისაკენ გაემართება. კოპა დიმილით  
გააცილებს, ინგას კიდევ ერთხელ ჩახედავს თვალებში  
და მძიმედ გაჟყვება მამაოს. კარიდან მოხედავს ინგას,  
გაუდიმებს და ხელს აუწევს.

გაწითლებული ინგა კარს თვალს ვერ აშორებს.

## მეშვიდე მოქმედება

დილაა. სვეტა მარტოა საკანზი. უხალისოდ დგება და სიგარეტს უკიდებს.

**სვეტა:** რა საშინელი კოშმარი მესიზმრა. ძილ მიდაც აღარა მაქვს მოსვენება. რატომ გამალვიძეს. თავი მისკდება. ყავაც აღარა მაქვს. კოკამ ბოლომდე მიმაგდო. ინგას კი როგორ ჩაებლაუჭა, ჩემი თავი მახსენდება, ამუშავებს, ფულს ინახავს. თან, ალბათ, ამადლის კიდეც საკუთარ თავს. ორი თვეა, არც კი მკითხულობს.

**სიგარეტით ხელში ჯერ მაგიდასთან მიდის, ყავის კოლოფს გადმოაპირქვავებს,** ძალიან ცოტა დაიფერთხება მაგიდაზე. სვეტა ხელს ჩაიქნევს, მიდის კარადასთან და სასანთლეზე მიკრულ სურათს შესცემრის. იღება კარი და სოციალური მუშაკი შემოდის.

**სოც. მუშაკი:** გამარჯობა, სვეტა!

**სვეტა:** დილა მშვიდობის. ასე ადრიანად რამ შეგაწუხა? დიდი ხანია, არ მინახისარ?

**სოც. მუშაკი:** მოსალოცი საქმე გაქვს, სვეტა, შენი საბუთები მოვიდა. ყველა შეკითხვაზე გვაქვს პასუხი შენი შვილის თაობაზე.

**სვეტას მოუთმენლობა დაეტყობა, მაგრამ ცდილობს, არ გამოამჟღავნოს.** მშვიდად მოაწერს ხელს და კალამს მაგიდაზე დააგდებს. **სოც. მუშაკი საბუთებს აწვდის.** სვეტა არ გამოართმევს. მშვიდად ეწევა სიგარეტს.

**სვეტა:** მანდ დააწყვე, მერე წავიკითხავ.

**სოც. მუშაკი:** უცნაური ქალი ხარ. რამდენი თვეა, იბრძვი შენი შვილის საპოვნელად. როცა ხელთა გაქვს საბუთები, თითქოს, აღარ გაინტერესებს. რა მოგივიდა, რამ გაგაცივა, გული არა გაქვს?

**სვეტა დაძაბული გახედავს, ხელები უკანკალებს, მაგრამ  
მაინც მშვიდად გახედავს.**

**სვეტა:** მთავარია, რომ მოვიდა, რა მეჩქარება, მოვასწრებ  
ნახვას.

**სოც. მუშაკი:** ოხ, სვეტა, სვეტა, არ იქნება შენი შეცვლა,  
ამდენი წელია, გიცნობ, მაგრამ ხშირად ვფიქრობ,  
რომ პირველად გხედავ, ვერაფერმა ვერ გაგტება,  
არადა, მშვენიერი ქალი ხარ!

**სვეტა:** ეს ჩემი პირადი საქმეა და ამ საბუთებსაც მარტო  
წავიკითხავ, მოწმეები არ მჭირდება.

**სოც. მუშაკი:** მინდოდა მომელოცა და რადაც მეთქვა,  
ვიდრე საბუთებს წაიკითხავდი, მაგრამ აზრი არა  
აქვს. ისევ ის სვეტა ხარ, პირველად რომ მოგიყვანეს  
— ულამაზესი, მაგრამ გაავებული და გაბოროტებული.  
არაფერმა არ შეგცალა. აჲა, წაიკითხე ეს საბუთები.  
მერე, იქნებ, მადლობა მაინც მითხრა.

**სოც. მუშაკი უკანასოფილოდ აკრეფს თავის საბუთებს  
და ტოვებს საკანს.**

**სვეტა** სიგარეტს ეწევა. ნელ-ნელა აკრეფს ფურცლებს,  
მაგრამ არ კითხულობს, ხელში ატრიალებს.  
ანთებულ სიგარეტს საფერფლეზე დებს, თვალებს  
ხუჭავს. ადგება, დრმად ამოისუნთქავს და ხატებთან  
მიდის. მაგრამ მხოლოდ თავს გადააქნევს და ისევ  
მაგიდასთან ბრუნდება. აიღებს ფურცლებს და ნელა  
კითხულობს, ბოლოს ჩაიკითხავს და ფურცლები  
ხელიდან დაუცვივდება. თვითონ სკამზე დაეხეთქმა  
და ხელებში ჩარგავს თავს. ცოტა ხანს გაჩერდება,  
ისევ აიღებს, წაიკითხავს, მერე შუაზე გადახევს და  
მიმოფანტავს. წამოხტება და სიარულს დაიწყებს.

**სვეტა:** რა სისულელეა! რა ხუმრობაა!

**მივარდება და კარზე აბრახუნებს. ხმაურზე სოც. მუშაკი  
შემოაღვებს კარს.**

**სოც. მუშაკი:** რა მოგივიდა, რა გაყვირებს?  
**სვეტა:** ეს საბუთები საიდან მოვიდა?

**სვეტა** ცივი ხმით ეკითხება და გადახეულ ფურცელს  
ცხვირწინ უტრიალებს.

**სოც. მუშაკი:** ზედ აწერია მისამართი, რა მოგივიდა?  
**სვეტა:** ეს შეცდომაა. ვიღაც ცდილობს, ჭკუიდან  
შემშალოს.

**სვეტა** გაფითრებული სახით დგას და გიჟივით აბრიალებს  
თვალებს. **სოც. მუშაკი** დაბნეული შეჰყურებს, თითქოს  
არ ესმის მისი სიტყვები.

**სოც. მუშაკი:** სვეტა, რა მოგივიდა, შენ ხომ იცნობ ინგას,  
რამოდენიმე თვე შენს გვერდით იყო. მშვიდი წყნარი,  
ლამაზი გოგოა.

**სვეტა:** გაჩუმდი! ინგა არ არის ჩემი შვილი. არ შეიძლება  
მე მკვლელი შვილი მყავდეს.

**სოც. მუშაკი:** შენ ხომ იცი, რომ მკვლელი არ არის. ისიც  
იცი, როგორ უყვარხარ. გასვლისას ტიროდა კიდეც,  
როდისდა ვნახავო სვეტა დეიდას. ძალიან ძლიერი  
და ჭკვიანი ქალიაო, ძალიან მიყვარს და დედა რომ  
მყავდეს, აუცილებლად ასეთი იქნებოდაო.

**სვეტა** დაყრის ფურცლებს და ხატებთან მიგარდება. თავს  
დადებს ქარადაზე, ჩურჩულებს თავისთვის. უეცრად,  
შემობრუნდება და ჰკითხავს.

**სვეტა:** შეცდომა გამორიცხეულია?

**სოც. მუშაკი:** რა თქმა უნდა, გამორიცხეულია, ინგა შენი  
შვილია და შეგიძლია, შენ თვითონ უთხრა, ახლავე,  
ამ წუთში.

**სვეტა:** არა, არ ვეტყვი. ამას არასოდეს არ მაპატიებს.

**სოც. მუშაკი:** როგორ არ გაპატიებს. ის ხომ აქ, შენთან  
ერთად იყო და იცის, რომ შენ აქ სხვისი გულისთვის  
ზიხარ. გაპატიებს, სვეტა, ნუ ნერვიულო.

**სვეტა:** არასოდეს არ მაპატიებს. მე ის დავქარგე, სამუდამოდ დავქარგე.

**სოც. მუშაკი მიუახლოვდება და მხარზე შეეხება.**

**სოც. მუშაკი:** სვეტა, ცუდად ხომ არა ხარ?

**სვეტა გამოერკვევა და შეხედავს.**

**სვეტა:** არა, არა, კარგად ვარ, მარტო მინდა ყოფნა.

**სოც. მუშაკი:** კარგი, გავალ და დაიძახე, თუ რაიმე გენდომება.

**სოც. მუშაკი გადის, მაგრამ სვეტა ამას ვეღარ ამჩნევს.**  
არეული ნაბიჯით მიდის თავის საწოლთან, იღებს პატარა ნივთს, მერე სურათს და ისევ მაგიდას მიუჯდება. კიდევ გადაიკითხავს ფურცლებს. თითქოს, ადარაფერი ესმის, ადგება და საწოლზე ჩამოჯდება. ვერ ისვენებს, ისევ წამოდგება, ხელში სურათი უჭირავს.

**სვეტა:** შენ მაჯობე! მაინც შენ მაჯობე! რამდენი გეძებე, შენ კი თურმე ჩემს გვერდით ყოფლხარ. შემეძლო, მოგვერებოდი, გულში ჩამეკარი, დამეკოცნა შენი ლამაზი თვალები, მე კი ეს არ გავაკეთე, რას ადარ გიწოდებდი, როგორ გატირებდი, გამცირებდი, ხელიც კი გაგარტყი, შენ კი თურმე ჩემი შვილი ყოფილხარ.

**წამიერად გაჩუმდება.**

**სვეტა:** მუცელში რომ მყავდი, მიყვარდი და ჩუმად გეჩურჩულებოდი, რომ დაიბადე, უბედნიერესი ქალი ვიყავი, მაგრამ შენს თავს სხვა ცხოვრება ვარჩივ. უხომოდ მიყვარდი და უარი ვთქვი ამ სიყვარულზე, მხოლოდ იმიტომ, რომ იმას არ მივეტოვებინე, ვინც

დმერთი მეგონა. თურმე, შეცდომას შეცდომაზე ვუშვებდი. ამ სურათზე სულ ერთი ციცქნა ხარ, არც კი ვიცი, რატომ გადაგიღე. მას მერე სულ თან დავატარებ.

ვიცოდი, რომ ბოლოჯერ გხედავდი, ძალიან ფრთხილად გახვევდი, თან გეფერებოდი, შენს სუნს ვიმახსოვრებდი. ტირილი მინდოდა, მაგრამ არ ვიტირე. მეგონა, თუ ვიტირებდი, ჩემი სიძლიერე გაქრებოდა. მაგრამ ერთი ცრემლი მაინც გამოგარა თვალებს და მკლავზე დაგეცა. შენ შეიშმუშნე, გიუივით გიკოცნიდი ფუნჩულა ხელებს და მინდოდა, დიდხანს გაგრძელებულიყო ეს წუთები, მაგრამ ისევ იმ ხმამ დამიძახა, რომ ვაგვიანებდით. გემინა და ძილში ანგელოზებს უღიმოდი, მე შენი თავი მათ მივანდე და მის მერე ცხოვრება ჯოჯოსეფთად მექცა. ჩემი ფიქრი იყვაი, მაგრამ არასოდეს არ მეცალა შენს მოსაძებნად. რატომ მოხდა ასე! რატომ ვერ გიცანი? რატომ არ მითხრა დედის გულმა, რომ შვილს ვანადგურებდი? ჩემო საყვარელო მოდი, რომ მოგეფერო და ცრემლები მოგწმინდო. ადარ იტირო, აი, ასე, ცოტა გაიღიმე კიდეც...

**სვეტა გაფაციცებით მიიწევა საწოლზე, თითქოს, გილაცას უთმობს ადგილს.**

**სვეტა:** შენ ისევ გეშინია არა ჩემი. ფერიც დაკარგე, რადგან ფიქრობ, რომ მე საშინელება ვარ, რომ მარტო დარჩი და ირგვლივ არავინაა. ვერ ხვდები, რომ ასე მხოლოდ გგონია და იმიტომ ტირი. სულელი ბავშვი.

აი, მეც დამეცა შენი ერთი ცრემლი. ერთხელ, როცა ტიროდი და შენი ცრემლი დამეცა, რადაც გამახსენდა, ახლა ვიცი, რომ ეს ჩემი უკანასკნელი ცრემლის გახსენება იყო, იმ ცრემლის, პატარა, ფუნჩულა ხელი რომ შეაკრთო.

შენ სულ ტიროდი, მე კი არ მჯეროდა შენი ცრემლების.

სათქმელად ადგილია, ენდო წყლის ამ პატარა ბურთულებს, როცა თვალებზე მოგადგებიან და ვეღარ უშებლავდები. არასოდეს არ მჯეროდა ცრემლების, რადგან უამრავი ცრემლი მინახავს. ზოგჯერ მათში უფრო მეტი სიმართლე შემინიშნავს, ვიდრე ყველაზე მაღლა მდგომი უმშვენიერესი საგნები და მაშინ ვრწმუნდებოდი, რომ ჩვენი ცრემლები წარსულზე მეტად მომავალს სტირიან...

ახლა ვრწმუნდები, რომ შენი ცრემლები სუფთა იყო და ნამდვილი, რომ ტყუილად იტანჯებოდი და მეც უსამართლოდ გაწამე. როგორი უდანაშაულოა შენი სული. უნდა დაგიბრუნო, მაგრამ როგორ? როგორ? გამოსავალი როგორ და სად ვიპოვნო. უნდა ვიპოვნო, იქნება სულ ერთი ციცქა საშველი, მაგრამ არა! გამოსავალი არ არსებობს...

სვეტა გაავებული გადმოყრის საწოლიდან პატარა ბალიშებს, თვითონაც წამოხტება და რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, მაგრამ ვეღარ ახერხებს, წაიბორბიკებს და თითქოს უნდა წაიქცეს. ხელს აიქნევს და საწოლის რკინას მოეჭიდება.

**სვეტა:** (შეძროთაღი ხმით) მეც მინდა ვიტირო, მაგრამ ზურგი მაქციეს ცრემლებმა. ჩემი უკანასკნელი ცრემლი შენს მკლავზე დაეცა და იქვე გაიფანტა ათას ნამსხვრევად. მის მერე ყინულის ლოდად ვიქცი. მეც ჩემი ტანჯვა გამოვიარე და მეც ჩემი ჯვარი ვზიდე. დღეს სხვა აღარავინ მყავს, მხოლოდ შენ მყავხარ, ერთადერთი, მე კი საფლავის პირას ვდგავარ. ისეთი საშინელია მისი ყურება! მაგრამ ეს რეალობაა, თუნდაც სასიამოვნო და მშვენიერი არ იყოს, მაგრამ რას ვიზამთ, თვით ყველაზე უმშვენიერეს რეალობაშიც კი არ დევს იმაზე მეტი სიმართლე, ვიდრე ძველ და უბრალო რეალობაში. რადგან თვით ცხოვრებაა უბრალო და უხეში. ეს სიტყვები ყოველთვის მაგიუსებდა.

**სვეტა** გაჩუმდება. მიდის კარადასთან და ნელ-ნელა ყრის კარადის თავიდან საგნებს, თან უცხო ხმით განაგრძობს.

**სვეტა:** ვერ ვიტანდი შენს სუფთა თვალებს, მაგიჟებდა შენი სიმშვიდე, ოღონდ არ მაღელვებდა შენი უპატრონობა, მაგრამ ვილტვოდი, ისეთი უბედური მენახე, როგორც მე ვიყავი. მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ვიტანდი სხვების ბედნიერებას. მე ეს გამომივიდა...

**სვეტა ხელს მიარტყამს კარადას. მერე შემობრუნდება და სიმწრით ტუჩებს ჩაიკვნება.**

**სვეტა:** შენ ახლა გგონია, რომ უბედნიერესი ქალი ხარ, რადგან იმავე კაცის სიყვარულით იწვი, ვინც მე მიყვარდა. შენც გგონია, რომ უყვარხარ, მაგრამ რა იცი, რომ შენთან გატარებული ყოველი წუთის საფასურს მწარედ გადაგახდევინებს... და ეს მე გაგიკეთე!.. მე გაგიკეთე, დედამ... შვილს...

**დადის ფრთხილად გაოგნებული სახით და ხელებს უაზროდ ამოძრავებს.**

**სვეტა:** შენსავით დამაბრმავა კოკას სილამაზემ. გამთელა, გამანადგურა, მაგრამ მაინც უაზროდ მიყვარდა. ახლაც ვხედავ მდინარის პირას დაგდებულ ჩემს შიშველ სხეულს. ნაცემი, წაბილწული, მიგდებული, მოშორებით კი ნასიამოვნები კაცის სახე. კაცი, რომელიც ბედისწერად მექცა. შენც ხომ გაგავის მისი ხელების სითბომ? დღემდე მათ სითბოს და გნებას მიღყები.

**სვეტას რაღაც გაახსენდება თითქოს, მიდის თავის საწოლთან, იქვე დაკიდებულ ჯვარს ჩამოხსნის, გულთან მიიტანს, მერე საწოლზე მოისვრის და თვითონ წაბარბაცდება გაურკვევლად.**

**სვეტა:** მაინც რამდენი სიბინძურე გამაკეთებინა, კოკა, შენმა სიყვარულმა. როგორ გამაგიჟე ასე. ახლა იგივეს ჩემს შვილს უკეთებ, კოკა, უმანქოს, სუფთას, გამოუცდელს...

**იგი თავს გააქნევს, ხელებს ერთმანეთზე გადააჭდობს, თითქოს ვიღაცას იკრავს მკერდში.**

**სვეტა:** არა, სიკვდილზე ტყუილად ვფიქრობ. მეცოდება სიკვდილი, კოკა, შენ ხომ არ იცი, როგორ არ მასვენებენ ჩენი ლამაზი გოგოები, (რატომლაც ჯაკუტს ვაიხდის და ძრისვრის) გახსოვს ნანა, ლია, ეპა. ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ, დღეს ქუჩაში ყრიან და ეს ჩენ გავაკეთეთ. სიყვარულს ვაბრალებდი, მაგრამ არა, (ყვირის) მეც შენნაირი ვიყავი. ყველა უმანქოებაში ჩემი სიბინძურის გამართლებას ვეძებდი. სხვების უმანქოებას ვწირავდი მსხვერპლად ჩემს წარსულს.

განა არ შემეძლო შეჩერება, შემეძლო და არ შევჩერდი, რადგან მეც შენნაირი ბინძური დორი ვიყავი. მომწონდა სხვისი უბედურების ყურება, ვტკბებოდი მათი ცრემლებით. ყველა ქალს ჩემი ტკივილის სამაგიეროს ვაზღვევინებდი. ისინიც ჩემნაირად იწყებდნენ. ყველა ადამიანი თავის თავის მტერია, ყოველთვის იმას აკეთებს, რაც ვნებს, მაგრამ მაინც ჯიუტად აკეთებს. და მაინც, არასოდეს არ იცის, რას ელტვის, რა სურს, რა ურჩევნია, რომ გააკეთოს. მარჯვნივ წავიდეს თუ მარცხნივ, ფიქრობს და მაინც მდინარესავით მიჰყევება დინებას. აუტანლად ცდილობს, რომელიმე ნაპირს მიეტმასხოს. თუ ერთ ნაპირს მთელი ძალით მიეხეთქება, მეორეს მიეხეთქება, მერე იმის კვლევაშია, რა ქნას, ახლა როგორ მოიქცეს, გაჲყვეს მდინარის დინებას თუ სადმე შეჩერდეს, რაიმეს მოეჭიდოს? ვერც კი ხვდება, ისე მიდის შესართავამდე, და როდესაც მდინარის ბოლო ტალღა ზღვაში იკარგება, ადამიანი უკვე არარაობად

ქცეული უსასრულობას უერთდება. უსასრულობას კი სიკვდილი მართავს. სიკვდილი... მეშინია... თუმცა, სიკვდილის შიში ყველას თან დაჲყვება და ამიტომ ვცხოვრობთ მუდმივი შიშით. იმიტომ, რომ უსუსურები და სუსტები ვართ. იმდენად სუსტები, რომ უამრავჯერ გამოგვრიყა აზირთებულმა მდინარემ და ჩვენ მაინც სიღრმეში მივიწვეთ, ის კი ჩაგვითრევს, გვატრიალებს და ისევ გამოგვრიყავს ... კი, სუსტი ვარ, მაგრამ ყოველთვის ძლიერების პერიოდის მივისწრაფოდი. ახლა ძლიერი ვარ, როგორც არასდროს.

**სვეტა შებრუნდება, დაემსობა თავის საწოლზე, ისევ წამოჯდება და სადღაც შორს იცქირება.**

**სვეტა:** ახლა, ამ საოცარ უსახურ კედლებში მხოლოდ ჩვენ ორნი ვართ. მე და შენ, დედა და შვილი (თთეჭას ჩვილი ბავშვი ჟყავს მიურული მკერდზე და ანანავებს), რომლებიც მთელი ცხოვრება ეძებდნენ ერთმანეთს და როცა შეხვდნენ, ვერც კი იგრძნეს ერთმანეთი. მაგრამ ახლა რომ ჩემთან ხარ, რატომ მგონია, რომ ჩვენს სიცოცხლეს ვიდაც სხვა დარაჯობს აქვე ჩვენს გვერდით და როგორც კი სული სიმშვიდეს იგრძნობს, მაშინვე აბობოქრდება და სიმწარეს გვიმატებს.

**სვეტა ვითომ საწოლზე მიაგდებს ბაგშვს და დოინჯით დაადგება თავზე.**

**სვეტა:** შენ რა, ძალიან მიბრაზდები? როცა გაიგებ, რომ ჩემი შვილი ხარ, მერეც დაიჩემებ ჩემს სიყვარულს? მაინც რატომ არ გჯეროდა, რომ მეზიზდებოდი? მე სიბინძურებ მასწავლა ზიზღი, ამ კედლებმა სხვა ადამიანად მაქცია. ყველა და ყველაფერი მეზიზდება და უკვე ვიცი, რომ დასასრული დასასრულია მაინც. როცა პირველად შევიგრძენი შენი ახალგაზრდული უმანქოება, შენმა სიწმინდემ ჭიუიდან გადამიყვანა. დღეს შენ ესეც აღარ დაგრჩა, მაგრამ ჯერ კიდევ

შეიძლება გიშველო, გამოგაფხინდო, ამოგიყვანო  
ბობოქარი ტალღებიდან და...

**სვეტა ხელებს გაშლის, დატრიალდება რამოდენიმეჯერ,  
მერე იატაგზე ჩაჯდება, მუხლებზე ხელებს შემოიხვევს  
და ნიშნის მოგებით აგრძელებს.**

**სვეტა:** შენ მასთან ცხოვრობ და არც გეშინია, რომ  
შენ და შენს შვილს მიგატოვებთ. უნდა მეოქვა  
შენთვის, რა ნაძირალად. იცი, როგორ მოგექცევათ.  
გეტევით, რომ შეიძლება შენ მისი შვილიც კი იყო.  
არც გამიკვირდება, მე ხომ არც მახსოვს, რომელია  
მამაშენი. არა! არა! ასე ვერ მომექცევა ცხოვრება!  
შენ რა დააშავე, რატომ გაგწირე სატანასთან  
ცხოვრებისათვის. ის ჩემი გზით გატარებს, მაგრამ  
დროა შეჩერდეს.

**სვეტა ხატებთან მიხოხდება და მუხლზე დაზოქილი  
დმერთს ევედრება.**

**სვეტა:** დმერთო, იმდენჯერ უარგეავი, აღარც კი მახსოვს.  
შენს ნაცვლად სატანას ვწირავდი ზვარაკად  
სიწმინდეს და ისე ჩავეფალი სიბილწეში, საკუთარი  
შვილიც კი ვერ შევიცანი. ამ კედლებს იქით უამრავი  
კოკა ცხოვრობს და უამრავი ზვარაკად შესაწირი  
კრავი ეგულება და დაძრწის მათ მოსახელოებლად.  
ვერავინ ხვდება, მის მომხიბლელებაში როგორი  
სისასტიკე ბუდობს. ისინი ბევრნი არიან, დმერთო!  
გაივსო სამყარო ცოდვებით და ვეღარ უძლებს  
სიმძიმეს. მე ახლა შენთან ვარ და ვეძებ გზას,  
რომელიც სულის ციხეს დაანგრევს და იმ ტაძრამდე  
მიმიყვანს, რომლის ზარების გუბუნი ჩემს შვილს  
ეტკვის, რომ შეჩერდეს, რადგან სწორედ ეს წამია  
დასაწყისი და დასასრული. მე არ მოვინდომე წამის  
შეჩერება, ახლა კი ვნატრობ, გესმის, უფალო?

**სვეტა** წამოდგება. გაბრაზებული გადმოყრის კარადიდან ყველაფერს ერთი ხელის მოსმით.

**სვეტა:** არაფერიც არ გესმის! რომ გაგეგონა, ეტყოდი შენს ანაფორიან მსახურს, დამხმარებოდა და გადავრჩებოდი. იცი, რა არც შენ არსებობ, ტყუილია ყველაფერი. აი, ახლა მე მოვალ შენთან მანდ ცაში, თუ ღრუბლებში და გამეცი პასუხი.

**სვეტა** გიჟივით დადის, კარადიდან ნივთებს ყრის, გრძელ შავ კაშნეს იპოვის, აძვრება კარადაზე, გამონასკვავს და ცდილობს, ყელზე შემოიხვიოს.

**სვეტა:** არც შენ არ გესმის ჩემი. როგორ იცის კოქამ? „არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა“. ძალიან კარგი! დამელოდე, არ დამემალო, ღმერთო, თორემ შენთვისაც რამეს მოვიფიქრებ. შენ რა გგონია, მეშინია სიკვდილის? მე იმდენ სიკვდილს გავუძელი, ეს რა იქნება, ეს კაშნეც მაწვალებს...

**სვეტას** ხელები უკანგალებს, კაშნეს ბოლოს მოკიდა ხელი და გაშეშდა. ბოლოებს თავისი შვილის ნაჭერში გამოხვეული ქუდები ეკიდა და ქანაბდა. კარადაზე დამდგარი ჩაიკეცა, ხელში აიღო ნაჭერი და უაზრო თვალებით ჩააშტერდა.

**სვეტა:** შვილო... შენ უნდა გადაგარჩინო... შენ უნდა შეგაჩერო... შენთვის ვაკეთებ... შენთვის... რადგან არასოდეს არაფერი გამიკეთებია შენს გამო... შენ უნდა გამოფხიზლდე და დაიმახსოვრო, რომ ცხოვრება ძალიან უბრალოა და ძალიან უხეში.